ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

ახალი უნივერსიტეტი

20 მაისი, 2019 | ორშაბათი, №5 (2231)

საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც პარლამენტმა მიიღო, ითვალისწინებს საუნივერსიტეტო მაუწყებლობის განხორციელების უფლებას სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული ყველა უნივერსიტეტისათვის



„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების ახალ პაკეტს საქართველოს პარლამენტმა სამი მოსმენით დაუჭირა მხარი. ცვლილებები ითვალისწინებს საუნივერსიტეტო მაუწყებლობის განხორციელების უფლებას ყველა სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის, რის უფლებასაც სახელმწიფო უნივერსიტეტებს აქამდე სწორედ „მაუწყებლობის შესახებ“ კანონი არ აძლევდა. ამიერიდან, ყველა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად შეეძლება გახსნას საუნივერსიტეტო მაუწყებლობა (ტელევიზია).

გვ. 5

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ახალი ვიცე-რექტორები ჰყავს

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ახალი ვიცე-რექტორები ჰყავს: მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ნინო ოკრიბელაშვილი და სამართლის დოქტორი ნინო გვენეტაძე.

7 მაისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ნუნუ ოვსიანიკოვამ დეპარტამენტების ხელმძღვანელებს რექტორის მოადგილეები წარუდგინა. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ქალბატონი ნინო ოკრიბელაშვილი უნივერსიტეტის სამეცნიერო სეგმენტს გაუწევს კოორდინირებას, ხოლო ქალბატონი ნინო გვენეტაძე — სასწავლო სეგმენტს.

გვ. 3

ნომერში

- მემორანდუმი სახელმწიფო აუდიტის სამსახურში სტუდენტების დასაქმებას ითვალისწინებს — გვ. 2
- მეორე სადოქტორო ხარისხი და ლელა ჯანაშვილის სამეცნიერო ცხოვრების რიტმი — გვ. 5
- არნოლდ გეგეჭკორის მორიგი სამეცნიერო აღიარება

გვ. 4

- Lingwing.com-ის სერვისით თსუ-ს სტუდენტებს უცხო ენის მაღალ დონეზე სწავლა დაბალ ფასად შეუძლიათ — გვ. 12
- რა მეცნიერული არგუმენტებით შეებრძოლა ქართველი პროფესორი შოთა რუსთაველის დაკნინების მცდელობას — გვ. 7
- თამაზ ბაძაღუას საიუბილეო საღამო უნივერსიტეტში — გვ. 13
- კორნელი კეკელიძის სამეცნიერო მემკვიდრეობის ამსახველი ფოტომასალა გამოიფინა — გვ. 15

სტუდ-ფესტივალი

- სტუდენტური ფესტივალი 2019

გვ. 8

- საქართველო ევროპის სტუდენტთა გაერთიანების (ESU) ოფიციალური წევრი გახდა — გვ. 8
- ქვალონიდან პეკინამდე — გვ. 9

მემორანდუმი სახელმწიფო აუდიტის სამსახურში სტუდენტების დასაქმებას ითვალისწინებს

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები სტაჟირებას გაივლიან სახელმწიფო აუდიტის სამსახურსა და სახელმწიფო აუდიტთან არსებულ საჯარო აუდიტის ინსტიტუტში, ხოლო წარმატებული სტუდენტები სტაჟირების შემდეგ დასაქმდებიან ამ უწყებებში. ასეთი თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმს მოაწერეს ხელი თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალურმა აუდიტორმა ერეკლე მექვაბიშვილმა და საჯარო აუდიტის ინსტიტუტის დირექტორმა დავით აზმაიფარაშვილმა.

თსუ-ის რექტორის გიორგი შარვაშიძის თქმით, „გარდა იმისა, რომ სტაჟირება ანაზღაურებადია, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს სტუდენტებისთვის, არსებობს მათი დასაქმების რეალური პერსპექტივაც. უნივერსიტეტსა და დამსაქმებლებს შორის მრავალმხრივი თანამშრომლობა აუცილებელია, მათ შორის, შეხვედრების, საჯარო ლექციების გამართვა“.

თსუ-ის სტუდენტები სასწავლო პროცესის დროს მიღებულ თეორიულ ცოდნასთან ერთად პრაქტიკულ უნარ-ჩვევებსაც შეიძენენ. „მემორანდუმი ემსახურება სტუდენტების მოზიდვას ჩვენს სასწავლო პრაქტიკასა და სტაჟირებაზე. ვიმედოვნებ, რომ ეს სამმხრივი თანამშრომლობა იქნება ურთიერთსასარგებლო და ნაყოფიერი. ვაპირებთ, რომ სტაჟირების დამთავრებისთანავე წარჩინებული სტუდენტები დავასაქმოთ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში“, — აღნიშნა საჯარო აუდიტის სამსახურის გენერალურმა აუდიტორმა ირაკლი მექვაბიშვილმა.

„მემორანდუმის მიზანია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში დაგეგმილ ტრენინგებსა თუ სხვადასხვა სასწავლო კურსებში, ასევე გაიარონ სტაჟირება და სასწავლო პრაქტიკა“, — განაცხადა საჯარო აუდიტის ინსტიტუტის დირექტორმა დავით აზმაიფარაშვილმა. ხელშეკრულება ითვალისწინებს კერძო, თეორიული და პრაქტიკული სასწავლო კურსის განხორციელებას, რომელიც ორიენტირებულია სტუდენტებს შესთავაზოს საჯარო აუდიტის დარგში საგანმანათლებლო შესაძლებლობები მათი პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების, გამოცდილების მიღების და შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის გაზრდის ხელშეწყობის მიზნით.

„ქართული ღვინო და ვაზი – ტრადიციები და სამეცნიერო გამოწვევები“

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქართული ღვინო და ვაზი — ტრადიციები და სამეცნიერო გამოწვევები“ გაიხსნა, რომელიც მეღვინეობა-მევენახეობის დარგში უახლეს სამეცნიერო კვლევებს ეხება. კონფერენცია მიზნად დარგის პოპულარიზაციას, ქართველი და უცხოელი მეცნიერების, ახალგაზრდა მკვლევრების საერთაშორისო სამეცნიერო სფეროში ინტეგრაციას ისახავს.

კონფერენციის გახსნას თსუ-ის რექტორის მოადგილე ნინო ოკრიბელაშვილი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დირექტორი ზვიად გაბისონია, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი კახაბერ კორძაია, ალავერდელი მიტროპოლიტი მეუფე დავითი, საქართველოს, ევროპისა და კანადის მეღვინეობისა და მევენახეობის დარგში წამყვანი უნივერსიტეტების და კვლევითი ცენტრების წარმომადგენლები და სტუდენტები ესწრებოდნენ.

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სწავლებასა და მეცნიერულ კვლევებზეა ორიენტირებული. მოგეხსენებათ, საქართველო ვაზის სამშობლოა. ჩვენი ბიოლოგები და ბიოტექნოლოგიური მიმართულების სპეციალისტები აღნიშნული საკითხის შესწავლაში აქტიურად არიან ჩართულები და ვიმედოვნებთ, ასეთი სახის კვლევები მომავალშიც გაგრძელდება“, — განაცხადა თსუ-ის რექტორის მოადგილემ ნინო ოკრიბელაშვილმა.

კონფერენციის საზეიმო გახსნამდე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტმა ახალგაზრდულ სიმპოზიუმს უმასპინძლა, სადაც თბილისის და საქართველოს რეგიონული უნივერსიტეტებიდან სტუდენტებმა წარმოადგინეს მოხსენებები, ჩატარდა მასტერ-კლასი ღვინის დეგუსტაციასა და ენოლოგიაში. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორის კახაბერ კორძაიას განცხადებით, დღეს, როდესაც საქართველოს არ აქვს ფუფუნება, რომ დააფინანსოს მეცნიერული კვლევები ყველა მიმართულებით, აუცილებელია მაქსიმალური ძალისხმევა ღვინის და ვაზის ფუნდამენტური კვლევების განსახორციელებლად. მისივე სიტყვებით, სწორედ ამგვარი თანამშრომლობის მაგალითია დღევანდელი კონფერენცია.

პროექტი თბილისის სახელ-მწიფო უნივერსიტეტის, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის და სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის თანამშრომლობით შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.

ოფიციალური გვერდი

№94/01-01 19.04.2019

სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორის სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 34-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 35-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის პირველი პუნქტის, მე-8 პუნქტის „ა“, „ბ“ და „პ“ ქვეპუნქტების, 28-ე მუხლის, 29-ე მუხლის პირველი პუნქტის, თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118 დადგენილების — „სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“ (დამტკიცებულია თსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ, ოქმი №10 29.12.2014 წ.), თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის №113 დადგენილების — „სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ (დამტკიცებულია თსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ, ოქმი №4 14.05.2018 წ.), „სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთიანი საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ“ თსუ-ის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2019 წლის 15 მარტის №4/04 ერთობლივი ბრძანების და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის ნანა გაფრინდაშვილის 2019 წლის 17 აპრილის 7027/27 წერილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს კონკურსი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორის სამსახურში მისაღებად;

2. უნივერსიტეტის პროფესორად 10 (ათი) წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს არანაკლებ 6 (ექვსი) წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება;

3. კონკურსი გამოცხადდეს 2019 წლის 22 აპრილს. საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2019 წლის 23 მაისიდან 2019 წლის 30 მაისის ჩათვლით. საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი ოქმი თსუ აკადემიურ საბჭოს გადაეცეს არაუგვიანეს 2019 წლის 20 ივნისისა.

4. კონკურსი გამოცხადდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:

ქართული ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი უახლესი ქართული ლიტერატურის კათედრა

პროფესორი — 1 საშტატო ერთეული

5. პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე (დადგენილი ფორმის მიხედვით);

ბ) კონკურსანტის ანკეტა, შევსებული დადგენილი ფორმის მიხედვით (ანკეტა წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული (CD) სახით, (ფაილის ფორმატი ჭორდ და ფაილების სახით);

გ) პირადობის მოწმობის ასლი;

დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი (უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) სამსახურებრივი გამოცდილების ამსახველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ცნობა/შრომის წიგნაკის ასლი და სხვ.);

ვ) სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ზ) შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი;

თ) სამეცნიერო კვლევების კონცეფცია.

6. საკონკურსო დოკუმენტების მიღება იწარმოებს 2019 წლის 23 მაისიდან 2019 წლის 30 მაისის ჩათვლით 930-დან 1800 საათამდე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღებ აპარატში, თბილისი ი. ჭავჭავაძის გამზ. №1 (I კორპუსი) ოთახი №207;

7. პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატი, კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვალდებულია გაეცნოს თსუ აკადემიური საბჭოს 113/2018 დადგენილების დანართი 1-ის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებს, წერილობით გამოხატოს თანხმობა მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან აფილირების შესახებ (რაც ძალაში შევა მის მიერ შესაბამისი აკადემიური თანამდებობის დაკავებისთანავე) და დაადასტუროს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ არ გააჩნია ძალაში მყოფი ანალოგიური ხასიათის დოკუმენტი (ხელშეკრულება, შეთანხმება ან სხვ.) სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

8. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთში „თბილისის უნივერსიტეტი“;

9. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს;

10. წინამდებარე ბრძანება კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაეცეს დაინტერესებულ პირსა და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (საფინანსო დეპარტამენტი, პერსონალის მართვის დეპარტამენტი, შიდა აუდიტის სამსახური, გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი).

11. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

გიორგი შარვაშიძე,
რექტორი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ახალი ვიცე-რექტორები ჰყავს

1-ლი გვერდიდან

მაია ტორაძე

ნინო ოკრიბელაშვილის ბიოგრაფიული მონაცემები

1984 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი.

1990 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1999 წელს — სადოქტორო დისერტაცია.

2000-2001 წწ. ახალგაზრდა ლექტორთა გაცვლითი პროგრამით იმყოფებოდა ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის ბიზნესისა და ადმინისტრირების სკოლაში.

2001 და 2003 წელს გაიარა ალბერტო ვილარის სამედიცინო პროგრამა, ორგანიზებული OSI/AAF-ის მიერ.

2003 წელს გაიარა უმაღლესი განათლების დაგეგმარების სპეციალისტთა და მენეჯერთა ტრენინგი (მომზადებული IIEP/UNISCO-ს მიერ, განხორციელებული განათლების პოლიტიკის დაგეგმვის და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ).

2005-2006 წლებში ჩართული იყო საერთაშორისო სასწავლო პროგრამაში: „საპენსიო რეფორმა გრძელვადიანი გადაწყვეტილებების მიღება (შვედეთი).

2007 წელს გაიარა ჯანდაცვის სისტემური მენეჯმენტის — OPM-ის საერთაშორისო სასწავლო კურსი (ადმინისტრირებული შჯსდ-ის სამინისტოსა და ქართული უნივერსიტეტის მიერ).

1993-2018 წლებში მიწვეული ლექტორის რანგში თანამშრომლობდა სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელთან, რომელთა შორისაა: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტი, კავკასიის უნივერსიტეტი და სხვ.

ნინო ოკრიბელაშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე 1997 წლიდან მოღვაწეობს. 2012 წლიდან არის სრული პროფესორი, სხვადასხვა დროს ასრულებდა ასისტენტის, დოცენტის, პროფესორის მოვალეობებს. 2014 წელს არჩეულ იქნა თსუ-ის წარმომადგენლობით საბჭოში, ხოლო 2016 წელს — აკადემიური საბჭოს წევრად.

ნინო ოკრიბელაშვილს აქვს მდიდარი პროფესიული და ადმინისტრაციული გამოცდილება. სხვადასხვა დროს იგი გახლდათ შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ გენერალური დირექტორის მოადგილე; მ. ასათიანის სახ. ფსიქიატრიის ს/კ ინსტიტუტის სამეცნიერო დირექტორი. იგი ხელმძღვანელობდა შპს „უნიმედ-კახეთის ფსიქიატრიულ დეპარტამენტს; იყო საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე.

ნინო ოკრიბელაშვილი აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციის მუშაობაში, არის 50-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი; მიღებული აქვს სხვადასხვა ხარისხის ჯილდო. იგი ასევე ახორციელებს საექსპერტო აქტივობებს და არის პროფესიული საზოგადოებების წევრი: საქართველოს სამედიცინო ასოციაციების გაერთიანების თავმჯდომარე; ავ. ზურაბაშვილის სახ. ფსიქიატრთა საზოგადოების გამგეობის წევრი; ორმაგი დიაგნოზების მსოფლიო ასოციაციის წევრი; საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარე (2017-2018); საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტთან შექმნილი ფსიქიკური ჯანმრთელობის მრჩეველთა საბჭოს წევრი და სხვ.

ნინო გვენეტაძის ბიოგრაფიული მონაცემები

ნინო გვენეტაძე 1985-1990 წლებში სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, წარჩინებით დაამთავრა იურიდიული ფაკულტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით;

1990-1993 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტი სისხლის სამართლის მიმართულებით;

1995 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიენიჭა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი;

1998-1999 წლებში იყო საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე;

1994-1999 წლებში მუშაობდა იუსტიციის სამინისტროში სხვადასხვა თანამდებობაზე. იყო მოქალაქეობისა და იმიგრაციის სამმართველოს მთავარი კონსულტანტი, საკანონმდებლო განზრახულებათა განყოფილების უფროსი, საჯარო სამართლის სამმართველოს უფროსის მოადგილე, საჯარო კანონმდებლობის განყოფილების უფროსი, საჯარო სამართლის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, სამართლის ჰარმონიზაციისა და ნორმატიული აქტების ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

1994-2001 წლებში იყო სამართლებრივი რეფორმის სახელმწიფო კომისიის სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის შემმუშავებელი კომისიის წევრი;

1999-2006 წლებში იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრი; სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლე;

2004 წელს იყო საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდის გამგეობის წევრი და პედაგოგი სისხლის სამართალში;

1999-2008 წლებში იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის კათედრის დოცენტი და ასოცირებული პროფესორი;

2007 წელს, როგორც ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სამართლის, სოციალური მეცნიერებებისა და დიპლომატიის სკოლის პროფესორი, ხელმძღვანელობდა სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამებს;

2010-2012 წლებში იყო საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სისხლის სამართლის კომიტეტის ექსპერტი;

2012 წლიდან არის სისხლის სამართლისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის განმახორციელებელი უწყებათაშორისი კომისიის წევრი;

2011-2014 წლებში იყო გერმანიის ქ. ფრაიბურგის მაქს-პლანკის საერთაშორისო და საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართლის ინსტიტუტის (MPI) სამეცნიერო სტიპენდიატი და პროექტის „სისხლის სამართლის პოლიტიკის განვითარება და სამართლის როლი გარდამავალი პერიოდის მართლმსაჯულებაში“ — ექსპერტი საქართველოდან;

2012-2011 წლებში იყო ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ პროექტის — „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმა“ — ექსპერტი;

2012-2014 წლებში იყო ევროკავშირის „კანონის უზენაესობის“ პროექტის — „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება საქართველოში“ — ექსპერტი;

2015-2018 წლებში იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე;

არის არაერთი სამეცნიერო ნაშრომისა და სტატიის ავტორი;

* * *

თსუ-ის ადმინისტრაციის დეპარტამენტების ხელმძღვანელებთან შეხვედრაზე ვიცე-რექტორებმა საუნივერსიტეტო საზოგადოებას მადლობა გადაუხადეს ნდობისთვის.

ქალბატონმა ნინო ოკრიბელაშვილმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ მისი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის დიდი ნაწილი სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე გაატარა და მისთვის, როგორ მთელი საქართველოსთვის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ალმა მატერია: „მადლობა მინდა გადავუხადო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, რომ ასეთი გამოწვევის წინაშე დამაყენა. 1990-იანი წლებიდან, როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პირველად შეიქმნა მედიკო ბიოლოგიური ფაკულტეტი, ვარ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ჩემი ძალიან დიდი სურვილია, რომ ჩვენი უნივერსიტეტი ყველა ქართველის ალმა მატერი გახდეს — უფრო ძლიერი და მძლავრი. ყველამ, ვინც ჩართული იყო იმ ჯგუფის მუშაობაში, რომელიც უნივერსიტეტის მომავალზე ფიქრობდა, იცის, თუ რა გამოწვევების და სირთულეების წინაშე ვდგავართ. აუცილებელია, რომ ახლო მომავალში უკეთეს, ახალ და ჩვენი განვითარებისთვის მნიშვნელოვან ეტაპზე გადავიდეთ. ეს უნდა იყოს სტუდენტზე ორიენტირებული, მცირებიუჯეტიანი და კარგად ორგანიზებული უნივერსიტეტი, რაშიც თავისთავად იგულისხმება უნივერსიტეტის ღიაობა, ინტერნაციონალიზაცია და ის, რომ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ ადამიანებს მივცეთ მისი აღმოჩენის შესაძლებლობა, რის საფუძველსაც მაღალი სამეცნიერო პოტენციალის გამოვლენა მოგვცემს. დარწმუნებული ვარ, ჩვენ ამას ერთად გავაკეთებთ“, — განაცხადა ქალბატონმა ნინო ოკრიბელაშვილმა.

ნინო გვენეტაძემ ხაზგასმით აღნიშნა ის კეთილგანწყობა, რაც მას უნივერსიტეტში დახვდა: „მე გახლავართ უნივერსიტეტელი. განათლება აქ მივიღე, აქვე დავიცავი დისერტაცია და წლების განმავლობაში ვკითხულობდი ლექციებს სისხლის სამართლის მიმართულებით. შემდეგ განვმწესდი სასამართლოში, თუმცა სასწავლო პროცესთან და პედაგოგიურ წრეებთან მუდმივად მქონდა კომუნიკაცია. ამდენად, ჩემი სურვილიც და პროფესიული წინსვლაც სამეცნიერო საქმიანობასთან იყო დაკავშირებული. ახალი პოზიცია, უნივერსიტეტის რექტორის მოადგილის რანგში, მომცემს შესაძლებლობას, რომ ერთიანი მიზნებით და გუნდური მუშაობით, ის რუტინული პროცესი, რომელსაც სასწავლო პროცესი ჰქვია, იყოს სტუდენტზე ორიენტირებული, უფრო ეფექტური, ხარისხიანი და გაუმჯობესებული. მე მზად ვარ, ნებისმიერი თქვენგანის რჩევა, წინადადება, სამომავლო ხედვა, კრიტიკული დამოკიდებულება მოვისმინო და ჩემი კომპეტენციის ფარგლებში ყველა პრობლემა ერთიანი ძალისხმევით დავძლიოთ“, — აღნიშნა ქალბატონმა ნინო გვენეტაძემ.

შეხვედრის ბოლოს თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ნუნუ ოვსიანიკოვამ წარმატება უსურვა რექტორის მოადგილეებს და განაცხადა, რომ ყველანი ერთად შეძლებენ უნივერსიტეტი გახდეს ისეთი, როგორიც მის ისტორიას და პოტენციალს შეეფერება.

არნოლდ გეგეჭკორის მორიგი სამეცნიერო აღიარება

მაია ტორაძე



მიმდინარე წლის სექტემბერში ლონდონში გაიმართება IV საერთაშორისო კონფერენცია მცენარეთა მეცნიერებებსა და მოლეკულურ ბიოლოგიაში (Plant Science and Molecular Biology (GPMB 2019), სადაც მოხსენების წასაკითხად მიწვეულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი არნოლდ გეგეჭკორი.

ბატონი არნოლდის სამეცნიერო ინტერესების სფერო ფართოა — იგი წლების განმავლობაში იკვლევს ისტორიულ გეოლოგიასთან, პალეონტოლოგიასთან, ანთროპოლოგიასთან, პალეოანთროპოლიგიასთან, გეოგრაფიასთან, ბიოლოგიასთან, ეკოლოგიასთან, ეთნოგეოგრაფიასთან, ბიოგეოგრაფიასთან დაკავშირებულ საკითხებს და ამ მიმართულებებით არა ერთი ღირებული სამეცნიერო ნაშრომის და მონოგრაფიის ავტორია (საკმარისია დავასახელოთ მისი ფუნდამენტური ნაშრომები „დედაბუნება“ (2003-2005; სასკოლო სახელმძღვანელოების სერია), „ბიომრავალფეროვნება და კონსერვაცია“ (2011) და „ბიოგეოგრაფია“, რომელიც 40 წლის განმავლობაში იწერებოდა და 2008 წელს უნივერსიტეტის გამომცემლობამ დაბეჭდა).

პროფესორი არნოლდ გეგეჭკორი პირველი ქართველი ბუნებისმეტყველია, რომელმაც სამეცნიერო მივლინებები საველე პირობებში გაატარა და დედამიწის ხუთი კონტინენტის ყველა ბუნებრივი ზონა შეისწავლა. მისი არც ერთი წიგნი არ ეყრდნობა მხოლოდ თეორიას, ყველა ნიმუში და მაგალითი, რომელზეც წერს (და ეს უიშვიათესი სამეცნიერო მასალაა), საკუთარი თვალით უნახავს და შეუსწავლია. თავად ამბობს, ამ კონტინენტებზე ფლორისა და ფაუნის ნებისმიერი ნიმუში პირველს თუ არა, მეორეს ან მესამეს მაინც მინახავსო... მისი წიგნების და თანდართული ფოტომასალის გაცნობა ამაში ადვილად დაგარწმუნებთ.

მან შეისწავლა დედამიწის ყველაზე გრძელი მდინარის — ნილოსის და ყველაზე დიდი წყალშემკრები მდინარის — ამაზონის სათავეები, ყველაზე დიდი ტბები: ბაიკალი და ტანგანიკა, მაღალმთის ყველაზე დიდი ტბა ტიტიკაკა (სამხრეთ ამერიკა), ჩრდილოეთ ამერიკის ყველაზე დიდი ალპური ტბა ტაჰო, ყველაზე მლაშე ტბებიდან — ნატრონი (კენია), ყველაზე გრძელი ჩანჩქერებიდან — იოსემიტი, ყველაზე დიდი უდაბნოებიდან საჰარა (აფრიკა), ყარაყუმი (ცენტრალური აზია) და კიდევ ბევრი რამ არაცოცხალი ბუნებიდან.

არნოლდ გეგეჭკორმა დაკვირვებები აწარმოვა ცოცხალი ბუნებიდან: რელიქტურ სექვოიასა და სექვოიადენდრონის ტყეებში (კალიფორნია, აშშ), სამეფო ევკალიპტის ტყეებში (ტასმანია), ყველაზე პრიმიტიულ ძუძუმწოვრებზე (ავსტრალია), ტროპიკულ ტყეებზე, ათასობით სახეობის ეგზოტიკურ ცხოველსა და ფრინველზე.

იგი ლექციების წასაკითხად მიწვეული იყო ბიოლოგიისა და გეოგრაფიის ფაკულტეტებზე: აშშ-ში (ატლანტის უნივერსიტეტი), ავსტრალიაში (სიდნეი ახალი უელსის უნივერსიტეტი, მელბურნი მონაშის უნივერსიტეტი), ახალ ზელანდიაში (ოკლენდის უნივერსიტეტი), აფრიკაში (კენია — ნაირობის უნივერსიტეტი, ტანზანია დარ-ეს-სალამის უნივერსიტეტი), მექსიკაში (მეხიკო-სიტის აგრარული უნივერსიტეტი), ეკვადორში (კიტოს უნივერსიტეტი).

NOVA და SPRINGER კავკასიის ბიომეგსა და რეფიგიუმეგზე

ამ ეტაპზე არნოლ გეგეჭკორის ნაშრომები ისეთი დიდი გამომცემლობების ყურადღების ქვეშ მოექცა, როგორებიცაა NOVA და SPRINGER.

„კავკასიის ბიომები“ — ესაა მონოგრაფია, რომელსაც სულ მალე გამოსცემს ამერიკული გამომცემლობა NOVA. რამდენიმე დღის წინ ბატონმა არნოლდმა წიგნის რედაქტორის, ლონდონის უნივერსიტეტის მოკრობიოლოგიის კათედრის გამგის ტრევორ კერტლიჯის (Trevor Cartledge) წერილი მიიღო, რომელშიც ნათქვამია: „თქვენი წიგნი — „კავკასიის ბიომები“ არის ყველაზე დეტალური და საინტერესო ნაშრომი, რომელზეც მიმუშავია. ვისწავლე უამრავი ახალი რამ, რაც, როგორც ბიოლოგმა, არ ვიცოდი“. წიგნი 625-გვერდიანია. იგი მოიცავს კავკასიის რეგიონს და 6 წლის განმავლობაში იწერებოდა.

რაც შეეხება გამომცემლობა SPRINGER-ს, მას უკვე მზად აქვს და წლის ბოლოს გამოსცემს არნოლდ გეგეჭკორის წიგნს „კოლხეთისა და ჰირკანის რეფიგიუმები: შედარებითი ანალიზი“. წიგნი მასშტაბურია და მოიცავს კავკასიის ეკორეგიონს (კავკასია — კასპიისპირა ირანი და კავკასია — შავი ზღვისპირა თურქეთი).

როგორც პროფესორი არნოლდ გეგეჭკორი წიგნზე საუბრისას აღნიშნავს, ოთხჯერადი გამყინვარების (ბოლო ერთი მილიონი წლის განმავლობაში) შედეგად, ევროპასა და დასავლეთ ევრაზიის ზომიერი კლიმატის ქვეყნებში ამოწყდა და გადაშენდა ძველი ორგანიზმები. ისინი გადარჩნენ მხოლოდ და მხოლოდ ისეთ კლიმატურ თავშესაფრებში (რეფიგიუმებში), რომლებიც მეტნაკლებად ჰგავს 10-15 მილიონი წლის წინანდელ კლიმატურ პირობებს. კავკასიის ეკორეგიონში ორი ასეთი მნიშვნელოვანი თავშესაფარია: კოლხეთის (აქვე განვმარტავთ, რომ თავშესაფარი ყოველთვის ოკეანური კლიმატის მქონე ქვეყნებში არის. შავი ზღვა, ამ შემთხვევაში, ითვლება ოკეანური კლიმატის მქონე ზღვად, რადგან ის გაუყინავი ზღვაა და ზამთარში მის აღმოსავლეთით მდებარე ქვეყნებს აძლევს ტენს) და ჰირკანის (კასპიისპირა მიმდებარე ნაწილი). წიგნში პირველადაა შედარებული ეს ორი რეფიგიუმი და გაანალიზებულია, რომელმა რამდენი და რა ფესვების ორგანიზმები გადაარჩინა. მაგალითად, კასპიისპირა რეგიონმა გადაარჩინა უფრო ტროპიკული და სუბტროპიკული ორგანიზმები, რომელიც სამხრეთ აზიიდან თანდათანობით შემოდიოდნენ და კასპიისპირა ამ რეგიონში მკვიდრდებოდნენ (მაგალითად, ცხოველებიდან — მაჩვზღარბა, მცენარეებიდან კი კლედიჩია, ალბიზია და სხვა ტრანსგლობალური ოჯახის წარმომადგენელი პარკოსანი მცენარეები), ხოლო შავიზღვისპირეთმა გადაარჩინა ნაკლებად ტროპიკული და სუბტროპიკული ორგანიზმები (მაგალითად, დედამიწის პირველი ფოთოლმცვივანი მცენარე, ასევე პონტოური მუხა, მეგრული არყი, მედვედევის არყი, წყავი, შქერი და სხვ.) ესენი ქმნიან მარადმწვანე ტყეებს. „ამას ჩვენ ვიზუალურად ვუყურებთ და ჩვეულებრივად მივიჩნევთ, მაგრამ მეცნიერებისთვის — ყოვლად არაჩვეულებრივია, რადგან ეს მარადმწვანე ორგანიზმები წავიდნენ და გაშენდნენ ისეთ ლოკალურ ადგილებზე, როგორიცაა იბერიის ნახევარკუნძული (მასაც ატლანტის ოკეანე ესაზღვრება) და აპენინები. ამდენად, ამ ორ თავშესაფარს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ თვალთახედვით ეს საკითხი დღემდე არ იყო შესწავლილი“, — ამბობს არნოლდ გეგეჭკორი.

ხუთი სხვადასხვა პრიზი პაკისტანის ტრანსაზიური კონგრესიდან

სამეცნიერო კვლევების ფართო არეალის გამო, პროფესორ არნოლდ გეგეჭკორის ნაშრომებით სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციის თუ კონგრესის ორგანიზატორები ინტერესდებიან. ბოლო პერიოდში მისი, როგორც მეცნიერის, წარმატებების ნუსხას კიდევ ერთი საერთაშორისო აღიარება შეემატა — არნოლდ გეგეჭკორმა პაკისტანის ტრანსაზიურ კონგრესზე ხუთი სხვადასხვა პრიზი (საუკეთესო მოხსენების, პლენარული სხდომის საუკეთესო თავმჯდომარის, საუკეთესო იმპროვიზებული მოხსენების, სტუდენტებთან საუკეთესო კომუნიკაციის და კონფერენციის მონაწილე ქალთა მიერ დაწესებული პრიზი) დაიმსახურა.

რატომ იწყება გამყინვარება, რა არის ამის მიზეზები და რატომ არსებობს გამყინვარებებს შორის დათბობის გლობალური ფაზები? — ეს გახლდათ მოხსენების ძირითადი არსი. მოხსენებაში ნათქვამი იყო, რომ ვინაიდან გლობალური დათბობა სიღრმეში შედის, მან შეიძლება გამოიწვიოს ისეთი მშრალი რეგიონების კიდევ უფრო გამშრალება, როგორიც არის პაკისტანი. „ძალიან მნიშვნელოვანი და მწვავე პრობლემაა დათბობა — თუნდაც 3-4 გრადუსით ტემპერატურის მომატება. ამის ფონზე, წყალუხვ ქვეყნებს შეუძლიათ, თუნდაც, სასმელი წყლით მოამარაგონ მრავალმილიონიანი თუ მილიარდიანი ქვეყნები, რომელთაც წლების შემდეგ წყლის დეფიციტი გაუჩნდებათ. საქართველო ამ მხრივ ძალიან მომგებიანი ქვეყანაა. მე მათ მივაწოდე რეალური ციფრი, რომ საქართველოს შეუძლია დიდი კავკასიონის მყინვარებიდან და მცირე კავკასიონის მყინვარებიდან ყოველწლიურად დიდი რაოდენობით სუფთა წყალი დაამზადოს. მოხსენების ლაიტმოტივი ძირითადად ეს იყო, მაგრამ ამას სჭირდებოდა ე.წ. საფუძველი, თუ რატომ არის კავკასია ასეთი და მოხსენების დროს შენ ამას თანდათან უჩვენებ, უდასტურებ. პაკისტანელებისთვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ეს მოხსენება“, — აღნიშნა არნოლდ გეგეჭკორმა.

სწორედ ეს იყო საინტერესო და მნიშვნელოვანი ქალთა უნივერსიტეტისთვის, სადაც კონგრესის მეორე დღეს არნოლდ გეგეჭკორი მიწვეულ იქნა საჯარო ლექციის წასაკითხად. დედამიწაზე სიცოცხლის არსებობის ოთხი მილიარდი წლის ისტორია, დინოზავრების წარმოშობისა და გადაშენების მიზეზები, ძუძუმწოვრების გათავისუფლება ბიოლოგიური წნეხისგან, პრიმატების განვითარება და ორფეხა არსების — ადამიანის წარმოშობა, მისი ევოლუცია, რომელიც 7-8 სახეობას ითვლის, კლასიკური ტრიადის — ჰომო ჰაბილისის (ანუ რომელმაც ქვა დაიჭირა), ჰომო ერექტუსის (რომელიც ხერხემალში გაიმართა) და ჰომო საპიენსის (რომელიც ცნობილია, როგორც გონიერი არსება) განვითარების თავისებურებები თანამედროვე ადამიანამდე, გლობალური დათბობა და მისი შედეგები — ეს იყო ლექციის ძირითადი თემა, რომელმაც სტუდენტებში დიდი დაინტერესება გამოიწვია.

„პაკისტანს ისე უყურებენ, თითქოს დაბალგანვითარებული ქვეყანაა. სინამდვილეში მათი ტექნოლოგიური განვითარების დონე ძალიან მაღალია. მქონდა საშუალება, ჯერ კიდევ 3 წლის წინ მენახა მათი ლაბორატორიები და სელექციის სადგურები, სადაც მშრალ კლიმატსა და ნიადაგზე მორგებული მცენარეები გამოჰყავთ და უნდა გითხრათ, რომ აღფრთოვანებული ვარ. მათ განსაკუთრებით მოსწონთ ინტერდისციპლინურობა სამეცნიერო კვლევებში და, ვფიქრობ, ამიტომაც სურთ უფრო მჭიდრო კონტაქტები დაამყარონ ჩვენს უნივერსიტეტთან, ფაკულტეტთან და მიმართულებასთან. მე უკვე გავუგზავნე ჩვენი უნივერსიტეტის რექტორს წერილი, სადაც ვაცნობებ ამ ვიზიტის შესახებ და ვწერ, რომ, უნივერსიტეტის წარმომადგენელთა შემოთავაზების საფუძველზე, შესაძლებელია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდეს პაკისტანის ქალთა უნივერსიტეტთან, ფაისალაბადის (საუნივერსიტეტო ქალაქია პაკისტანში) უნივერსიტეტთან და ჩინეთის ქალაქ ლანჯოუს უნივერსიტეტთან (Lanzhou University)“, — გვითხრა არნოლდ გეგეჭკორმა.

როგორც აღვნიშნეთ, წლის ბოლოს გამომცემლობა SPRINGER არნოლდ გეგეჭკორის წიგნს — „კოლხეთისა და ჰირკანის რეფიგიუმები: შედარებითი ანალიზი“ — გამოსცემს, მანამდე კი, ლონდონის საერთაშორისო კონფერენციაზე, სექტემბრში არნოლდ გეგეჭკორი კიდევ ერთხელ წარადგენს საქართველოს საინტერესო სამეცნიერო მოხსენებით.

საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც პარლამენტმა მიიღო, ითვალისწინებს საუნივერსიტეტო მაუწყებლობის განხორციელების უფლებას სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული ყველა უნივერსიტეტისათვის

1-ლი გვერდიდან

ეს ინიციატივა ეკუთვნის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს გიორგი შარვაშიძეს, რომლის საკანონმდებლო ინიციატივის საფუძველზეც მომზადდა „მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების ახალი პაკეტი. რექტორის ამ ინიციატივის მთავარი მოტივაცია გახლდათ ტელევიზიის, როგორც სასწავლო პრაქტიკული ბაზის გამოყენება თსუ-ის ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების (და ასევე სხვა ფაკულტეტების), აგრეთვე თსუ-ის მედიისა და ტელეხელოვნების საზოგადოებრივი კოლეჯის სტუდენტთა დასპეციალებისა და ბაზარზე მათი დასაქმების მომზადებისთვის. საუნივერსიტეტო ტელევიზიის მიზანი ასევე იქნება უნივერსიტეტის წიაღში დაგროვებული ცოდნის საზოგადოებაში გატანა, რომელიც მოიცავს მრავალფეროვან თემატურ სპექტრს, მათ შორის, მეცნიერებას, ბიზნესს, ეკონომიკას, განათლებას, ჯანდაცვასა და მედიცინას, საზოგადოებრივ საქმიანობას, ჰუმანიტარულ და სახელოვნებო მიმართულებებს და სხვა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ტელევიზია რამდენიმე მნიშვნელოვან ნიშას დაიკავებს: 1) ის წარმატებით გასწევს უნივერსიტეტის პოპულარიზაციას საქართველოსა და მის საზღვრებს გარეთ (კონტენტის თარგმნის შემთხვევაში კი გახდება კარგი გზამკვლევი უცხოელი პარტნიორების, მეცნიერებისა და სტუდენტებისათვის); 2) ტელევიზიის საშუალებით საზოგადოებისთვის ცნობილი გახდება იმ სამეცნიერო მიღწევების თაობაზე, რომელიც თსუ-ის მეცნიერ-მკვლევართა მიერ წლების განმავლობაში გროვდებოდა; 3) ტელევიზია პოპულარულ ენაზე გააცნობს საზოგადოებას გამოყენებით სამეცნიერო პროექტებს, წარმატებულ და ახალგაზრდა მეცნიერთა საგრანტო აქტივობებს, რაც სტიმულის მიმცემი იქნება მომავალი თაობისთვისაც; 4) ტელევიზია შეძლებს უნივერსიტეტის პროფესორთა ექსპერტული ხედვების პოპულარიზაციას, მეცნიერებისა და სახელისუფლებო შტოების დაახლოებას; 5) საზოგადოებას მიეცემა საშუალება, მოუსმინოს უნივერსიტეტის პროფესორთა საჯარო ლექციებს, რაც ხელს შეუწყობს სამოქალაქო განათლების დონის ამაღლებას; 6) საუნივერსიტეტო ტელევიზიის საშუალებით ქართული საზოგადოება მიიღებს დამატებით ინფორმაციას უცხოური უნივერსიტეტების საქმიანობაზე, მათი პროფესურის ხედვებზე, მეცნიერების თანამედროვე მიღწევებზე. 7) რაც მთავარია, საუნივერსიტეტო ტელევიზია დაეყრდნობა ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულებისა თუ მედიისა და ტელეხელოვნების საზოგადოებრივი კოლეჯის სტუდენტთა მიერ მომზადებულ მასალებს, პოპულარიზაციას გაუწევს და ხელს შეუწყობს ეკონომიკის, იურიდიული, ფსიქოლოგიისა და განათლების, მედიცინის, ზუსტ და საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტთა აქტივობას და ჩართულობას, რაც სტუდენტებს მისცემს სტაჟირებისა და კარგი პრაქტიკის გავლის შესაძლებლობას.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების თანახმად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განხორციელებული მაუწყებლობა, რომელიც უზრუნველყოფს უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების, სწავლისა და სწავლების, სამეცნიერო კვლევების, უმაღლესი განათლების სტიმულირებას და საზოგადოების ინფორმირებას უნივერსიტეტში (და ზოგადად, უმაღლესი განათლების სფეროში) მიმდინარე ამბების შესახებ, მიზნად არ ისახავს მოგების მიღებას.

მეორე სადოქტორო ხარისხი და ლელა ჯანაშვილის სამეცნიერო ცხოვრების რიტმი

ნატო ობოლაძე

იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებულმა პროფესორმა ლელა ჯანაშვილმა ბარსელონას ავტონომიურ უნივერსიტეტში მეორე სადოქტორო ხარისხი დაიცვა. ეს გახლავთ პირველი შემთხვევა ქართული სამართლის ისტორიაში, როდესაც ქართველმა მკვლევარმა ესპანური სამართლის დოქტორის ხარისხი მიიღო ესპანეთში. ლელა ჯანაშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე აკადემიურ საქმიანობას 2009 წლიდან ეწევა და პარალელურად თსუ-ის ესპანური სამართლის შესწავლის ინსტიტუტს ხელმძღვანელობს.

— ქალბატონო ლელა, რატომ გადაწყვიტეთ მეორე სადოქტორო ხარისხის მიღება და რა საკითხს ეხება თქვენი კვლევა?

— პირველად სადოქტორო დისერტაცია 2003 წელს დავიცავი. კვლევის თემა ეხებოდა ტერიტორიული ორგანიზაციის პრობლემებს ესპანეთის მაგალითზე. სწორედ აქედან დავუკავშირდი პირველად ესპანეთს, შემდეგ კავშირები გაფართოვდა და გადავწყვიტე მეორე დისერტაციის გაკეთება. ხანგრძლივი მუშაობის შედეგად, მიმდინარე წლის 22 მარტს დოქტორის ხარისხი მომანიჭეს. დისერტაცია ბარსელონას ავტონომიური უნივერსიტეტის საჯარო სამართლისა და ისტორიულ იურიდიულ მეცნიერებათა დეპარტამენტში შევასრულე. სადოქტორო პროგრამის სახელია „ადამიანის უსაფრთხოება და გლობალური საჯარო სამართალი“. ეს არის პროგრამა, რომლის ცენტრში ადამიანის უსაფრთხოება და მასთან დაკავშირებული საკითხებია გლობალურ საჯარო სამართლებრივ სივრცეში, ანუ ეს პროგრამა მთლიანად ფოკუსირებულია XXI საუკუნის გლობალიზაციის გამოწვევებზე. მას ადმინისტრაციული სამართლის კათედრის ხელმძღვანელი მანეულ ბალბემ მალოლი ხელმძღვანელობს. ჩემი დისერტაციის თემა ადამიანის უსაფრთხოება და XXI საუკუნის თანამედროვე მონობის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი პრევენცია გახლდათ და ხელმძღვანელობას გაეროს ექსპერტი, თანამედროვე მკვლელ რობოტთა კომისიის წევრი, პროფესორი როსერ მარტინესი მიწევდა.

— საინტერესოა, როგორ შეუთავსეთ ერთმანეთს კვლევითი საქმიანობა ესპანეთში და აკადემიური მუშაობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში?

— შეთავსება, რა თქმა უნდა, რთული იყო, განსაკუთრებით პირველი ორი წელი, როდესაც სასწავლო კომპონენტის შესრულება მიწევდა. სწავლა დისტანციურადაც იყო შესაძლებელი, თუმცა დიდხანს გაგრძელდა. 7 წელი დამჭირდა, რომ დისერტაცია სასურველ შედეგამდე მიმეყვანა. შეფასება იყო უმაღლესი.

— რა იყო თქვენი მთავარი მოტივაცია ამ სადოქტორო კვლევის შესრულებისას?

— ვფიქრობ, რომ ადამიანის შინაგანი მოტივაციაა მთავარი, განვითარების, მეტის გაგებისა და სწავლის სურვილი. მუშაობის პროცესში საინტერესო ხალხთან მქონდა ურთიერთობა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია მსგავსი

შინაარსის ინტერდისციპლინური კვლევისათვის. ახლა ვმუშაობ დისერტაციის ქართულ ვერსიაზე. სრული მოცულობით არა, მაგრამ ვაპირებთ ძირითადი ასპექტების ქართულ ენაზე გამოცემას.

— რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, როგორ აპირებთ ესპანურ მხარესთან თანამშრომლობის გაგრძელებას?

— ბარსელონას ავტონომიურ უნივერსიტეტთან, სადაც მეორე სადოქტორო ხარისხი დავიცავი, 2014 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა და შედეგად ესპანური სამართლის ინსტიტუტი დაარსდა. მისი აკადემიური დირექტორი ბარსელონას ავტონომიური უნივერსიტეტის კონსტიტუციური სამართლის კათედრის ხელმძღვანელია. ვმუშაობთ ერთობლივ პროექტებზე, გამოვეცით მონოგრაფია და სამეცნიერო სტატიათა კრებულები. დაგეგმილია სამეცნიერო კონფერენციისა და საზაფხულო სკოლის ჩატარება. აღსანიშნავია, რომ ესპანელი პროფესორები ჩვენთან ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე თანამშრომლობენ. სულ რამდენიმე დღის წინ ცნობილი გახდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის შედეგები. გამარჯვებულთა შორის არის ჩვენი ფაკულტეტის მიერ მომზადებული კომბინირებული ღონისძიების (სეზონური სკოლა და კონფერენცია) საგრანტო პროექტი თემაზე „ევროპის უსაფრთხოება და თანამედროვე კონსტიტუციური სახელმწიფო“, რომლის სამეცნიერო ხელმძღვანელიც ვარ. პროექტში მონაწილეობს 10 უცხოელი ექსპერტი ბარსელონას ავტონომიური, ლა კორუნას და ბარის ალდო მოროს უნივერსიტეტების პროფესორები.

— კვლევას რა მიმართულებით გააგრძელებთ?

— რამდენიმე დღის წინ ესპანური ტოპონიმების, ანთროპონიმების და დარგობრივი ტერმინების დაზუსტებისა და ქართულ ენაში მათი გამოყენების ნორმების შესამუშავებლად სამეცნიერო სემინარი გავმართეთ. იმდენად დავინტერესდი ლინგვისტური პრობლემატიკით, თანაც ჩემი პროფილიც სამართლის თეორიული საკითხებია, რომ ვაპირებ ამ მიმართულებით კვლევა განვახორციელო.

პროექტი ესპანური ტერმინების სწორად გადმოტანის პრობლემატიკაზე

ნატო ობოლაძე

ესპანური ტოპონიმების, ანთროპონიმების და დარგობრივი ტერმინების დაზუსტებისა და ქართულ ენაში მათი გამოყენების ნორმების შესამუშავებლად, ქართველი და ესპანელი ექსპერტების მონაწილეობით, სამეცნიერო სემინარი გაიმართა. ღონისძიება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის ფარგლებში ჩატარდა. სპეციალისტებმა სამართლის დარგში ესპანური ტერმინების სწორად გადმოტანის პრობლემატიკა და მეთოდოლოგია განიხილეს. ასევე საუბარი იყო ტოპონიმების და ანთროპონიმების თარგმანისას და უცხოური ენიდან ესპანურში გადმოტანის სპეციფიკაზე და პრობლემებზე. ამ მიმართულებით ერთიანი სახელმძღვანელო სტანდარტი აქამდე შემუშავებული არ ყოფილა და ქართულ ენაში გამოყენებული ტერმინოლოგია ჯერ კიდევ რუსული ენის გავლენას განიცდის. სამეცნიერო სემინარი 3 მაისს გაიმართა.

„არა მარტო ეს სემინარი, ზოგადად, პროექტი — „ესპანური ტოპონიმების, ანთროპონიმების და დარგობრივი ტერმინების (ლინგვისტურ-ლიტერატურულ, სამართლებრივ და საჯარო ადმინისტრაციის სფეროში) დაზუსტება და ქართულ ენაში მათი გამოყენების ნორმების შემუშავება“ ეხება დარგობრივი ტერმინოლოგიის ქართულ ენაში სწორად გადმოტანას. ბოლო დროს განსაკუთრებით ბევრი თარგმანი კეთდება და ბევრ შეცდომას ვაწყდებით. აქედან გამომდინარე, გადავწყვიტეთ ამ პროექტის განხორციელება, რომელიც მონოგრაფიით დასრულდება და მთარგმნელებისთვის ერთგვარი სახელმძღვანელო იქნება“, — განაცხადა თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ესპანური ენის მიმართულების ასოცირებულმა პროფესორმა, პროექტის ავტორმა მარინე კობეშავიძემ.

სამეცნიერო სემინარს ესპანური მხრიდან პომპეუ ფაბრას უნივერსიტეტის პროფესორი პატრიკ ზაბალბეასკოა, ბარსელონას ავტონომიური უნივერსიტეტის პროფესორი ელისეო სიერა ნოგუერო და მადრიდის ენათა ოფიციალური ცენტრის წამყვანი მასწავლებელი რაკელ როდიგერსი ესწრებოდნენ. ესპანელმა ექსპერტებმა ქართველ კოლეგებს საკუთარი გამოცდილება გაუზიარეს.

„ვისაუბრეთ, თუ როგორ ხდება იურიდიული ტერმინოლოგიის სწორად თარგმნა. მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ თარგმანი სპეციფიკური პროცესია და ბევრი ასპექტია გასათვალისწინებელი. არ შეიძლება პირდაპირ და ხისტად გადმოვიტანოთ ენაში ესა თუ ის ტერმინი. განსაკუთრებული სიფრთხილე დარგობრივი ტერმინების თარგმნისას გვმართებს“, — აღნიშნა პროფესორმა ელისეო სიერა ნოგუერომ.

პროექტი — „ესპანური ტოპონიმების, ანთროპონიმების და დარგობრივი ტერმინების (ლინგვისტურ-ლიტერატურულ, სამართლებრივ და საჯარო ადმინისტრაციის სფეროში) დაზუსტება და ქართულ ენაში მათი გამოყენების ნორმების შემუშავება“ 2018 წელს დაიწყო. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები გასულ წელს კვლევითი ვიზიტით უკვე იმყოფებოდნენ მადრიდის ალკალა-დე-ენარესის უნივერსიტეტში, სადაც ლინგვისტიკისა და სამართლის ტერმინოლოგიის თარგმანთან დაკავშირებით სამეცნიერო კონფერენციებს დაესწრნენ, ასევე მოიძიეს მნიშვნელოვანი სამეცნიერო ლიტერატურა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ სამეცნიერო სემინარზე მათ შუალედური კვლევის შედეგები წარმოადგინეს.

„ესპანური ენა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ენაა. მას მრავალ ქვეყანაში სახელმწიფო სტატუსი აქვს მინიჭებული. ესპანურიდან ქართულ ენაზე თარგმნისას ტერმინებთან დაკავშირებით ბევრ სირთულეს ვაწყდებით. ეს ეხება ტოპონიმებსა და ანთროპონიმებს. ამ პროექტში სამართლის სფეროში არსებული პრობლემატიკის მიმართულებით ვმონაწილეობ. ჩვენი მიზანია სამართლის მიმართულებით თარგმანისთვის სწორი ნორმების შემუშავება“, — გვითხრა იურიდიული ფაკულტეტის სამართლის მეთოდების მიმართულების პროფესორმა ლელა ჯანაშვილმა.

ესპანური ტოპონიმების, ანთროპონიმების და დარგობრივი ტერმინების დაზუსტებისა და ქართულ ენაში მათი გამოყენების ნორმების შესამუშავებლად მიმდინარე პროექტი 2020 წლის ივნისში დასრულდება. ესპანური ენიდან დარგობრივი ტერმინების თარგმნის რეგულაციები მონოგრაფიის სახით გამოიცემა.

მრგვალი მაგიდა

სამართლებრივი დიალოგი – მოსამართლის საქმიანობის შეფასებების სტანდარტები

ნატო ობოლაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მრგვალი მაგიდა — „სამართლებრივი დიალოგი მოსამართლის საქმიანობის შეფასებების სტანდარტები“ გაიმართა. შეხვედრა წარმომადგენლობითი ხასიათის იყო. დისკუსიაში პროფესორები, ადვოკატები, მოსამართლეები და სტუდენტები მონაწილეობდნენ. ღონისძიება სიმბოლურად იმიტირებული სასამართლო პროცესის დარბაზში გაიმართა. მრგვალი მაგიდის ფარგლებში იურისტებმა იმსჯელეს სასამართლოსთან დაკავშირებულ ყველა იმ აქტუალურ საკითხზე, რომელიც ბოლო პერიოდში განხილვის საგნად იქცა, მათ შორის, მოსამართლეთა მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე. ღონისძიება იურიდიული ფაკულტეტის მოწვეული პროფესორის — თამარ მახარობლიძის ორგანიზებითა და იურიდიული ფაკულტეტის მხარდაჭერით გაიმართა.

„რამდენიმე დღის წინ პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონის პროექტი — „საერთო სასამართლოების შესახებ“, რომელიც ეხება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევისა და დანიშვნის წესს. ეს კანონი იძლევა გარანტიას, რომ უზენაესი სასამართლო დაკომპლექტდება კეთილსინდისიერი და კომპეტენტური კადრებით. დღეს კი ვისაუბრეთ ერთ-ერთ ყველაზე რეზონანსულ, სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმეზე და უზენაეს სასამართლოში ამ საქმის მოსამართლე ლევან მურუსიძის როლზე“, — აღნიშნა შეხვედრის მოდერატორმა, თამარ მახარობლიძემ.

მრგვალი მაგიდის ფარგლებში იურისტებმა დეტალურად განიხილეს „გირგვლიანის საქმე“ და მასში არსებული ყველა სადავო საკითხი. აუდიტორიაში შეკრებილებმა იმსჯელეს სამართლებრივად რამდენად სწორი გადაწყვეტილება მიიღო საქართველოს უზენაესმა სასამართლომ. საქმის შესწავლის შემდეგ მხარეები შეთანხმდნენ, რომ იმდროინდელი კანონმდებლობის პირობებში მოსამართლე ლევან მურუსიძემ მიიღო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება.

შეხვედრის ფარგლებში იურისტებმა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონიც განიხილეს, პარლამენტის მიერ მიღებული პროექტი დადებითად შეაფასეს და აღნიშნეს, რომ ცვლილებების შედეგად საკასაციო სასამართლოში ღირსეული მოსამართლეების არჩევას ელოდებიან.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მრგვალი მაგიდა „სამართლებრივი დიალოგი — „მოსამართლის საქმიანობის შეფასებების სტანდარტები“ 7 მაისს გაიმართა.

რა მეცნიერული არგუმენტებით შეებრძოლა ქართველი პროფესორი შოთა რუსთაველის დაკნინების მცდელობას

მაია ტორაძე

ᲪᲝᲢᲐ ᲮᲜᲘᲡ ᲬᲘᲜ გამოვიდა ცნობილი ირანისტის, პროფესორ ნომადი ბართაიას ნაშრომი „მცდელობა ქართული კულტურის დისკრედიტაციისა“, რომელშიც ავტორი პასუხს სცემს 2017 წელს ისტორიკოს-აღმოსავლეთმცოდნე ფელიქს კურცვალაის მიერ რუსულენოვან ელექტრონულ ჟურნალ „ქარავანში“ გამოქვეყნებულ წერილს: „შოთა რუსთაველი სპარსული პოემა „ვეფხისტყაოსნის“ ნიჭიერი მთარგმნელია და არა პოეტი“ („Шота Руставели талантливый переводчик персидской поэмы „Витязь в тигровой шкуре“, а не поэт“). უნდა აღინიშნოს, რომ ნომადი ბართაიას საპასუხო წერილი ამავე ჟურნალის მომდევნო ნომერში რუსულ ენაზე უკვე გამოქვეყნდა, მაგრამ ამჯერად ავტორი რუსთაველის, „ვეფხისტყაოსნისა“ და ქართული კულტურის დისკრედიტაციის მცდელობას სამ ენაზე (ქართული, რუსული, ინგლისური) დაბეჭდილი ვრცელი ნაშრომით პასუხობს.

ნომადი ბართაია

მაინც რას სდებს ბრალად შოთა რუსთაველს ვინმე ფელიქს კურცვალაი? იგი „ამტკიცებს“, რომ რუსთაველი მთარგმნელია და არა პოეტი, ხოლო „ვეფხისტყაოსანი“ სპარსული პოემაა და მას მხოლოდ ნიჭიერად უთარგმნია. კურცვალაის მთავარი „არგუმენტი“ პოემის ის სტრიქონია, სადაც ავტორი წერს: „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები, ვპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ საჭოჭმანები“...

ნომადი ბართაია მიუთითებს: „პუბლიკაციის ავტორი დამახინჯებულად უკეთებს ინტერპრეტაციას პოეტის სიტყვებს და წერს: რუსთაველმა „იპოვა სპარსული ამბავი, თარგმნა სპარსულიდან ქართულ ენაზე და გარდათქვა ლექსად“ („нашёл персидский рассказ и перевёл с персидского на грузинский язык и переложил его стихами“). სინამდვილეში კი რუსთველი ამბობს: „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები, ვპოვე და ლექსად გარდავთქვი“-ო... სად გვეუბნება აქ პოეტი, რომ მას უთარგმნია სპარსული პოემა? ის გარკვევით ამბობს, რომ სპარსულიდან ნათარგმნი ამბავი გარდავთქვიო ლექსად“.

აქვე ავტორი სიტყვა სიტყვით „თარგმნის“ ეტიმოლოგიასაც და წერს: „ძველ ქართულ ენაში ტერმინი თარგმნა ფართო შინაარსის შემცველი იყო და, გარდა დღევანდელი გაგებით თარგმნისა, ნიშნავდა: გადატანას, გადაკეთებას, კომენტარს, განმარტებას, ახსნას, ინტერპრეტაციას. ასე, მაგალითად, ქართულში სპარსულიდან შემოსული ძეგლებიდან ფახრ ედ-დინ გორგანელის (XI ს.) „ვისი და რამინი“ — „переведена“, ხოლო ფირდოუსის (X ს.) „შაჰ-ნამე“ — „переложена“ (შეიძლება სხვა ტერმინიც ვიხმაროთ, მაგალითად, გადაკეთება, ოღონდ არა — „переведена“), რადგან „ვისი და რამინი“ მიჰყვება დედანს, „შაჰ-ნამე“ კი შერჩეული თავების გადატანის, გადაკეთების და ვერსიების სახით არის შემოსული ქართულ ლიტერატურაში“.

ავტორი ნაშრომში მიმოიხილავს მსოფლიო ლიტერატურას და ასაბუთებს, რომ მოარული ამბების გალექსვა კარგად ნაცადი ხერხი იყო და დღეს ჩვენთვის ცნობილი პოეტები ხშირად მიმართავდნენ ამ მეთოდს. დასტურად მას მოჰყავს იმ ავტორთა და ნაწარმოებთა სახელები და სახელწოდებები, რომლებიც ნასაზრდოები არიან საერთო ამბებით: ჰომეროსი, ჰესიოდე, არისტოფანე, ესქილე, სოფოკლე, ევრიპიდე; კალიმაქე, აპოლონ როდოსელი, ვერგილიუსი, ოვიდიუსი, დანტე, ბოკაჩიო; შექსპირი, გოეთე, თომას მანი და სხვ. ასევე იხსენებს პოემებს: „სიმღერა როლანდზე“, „სიმღერა ნიბელუნგებზე“, „რომანი ტროას შესახებ“, „რომანი ენეას შესახებ“, „ტრისტანი და იზოლდა“ და სხვ.

ამას გარდა, ნომადი ბართაია მიმოიხილავს აღმოსავლურ ლიტერატურას, კონკრეტულად კი სპარსულ პოეზიას და მაგალითად მოჰყავს რამდენიმე ავტორი მცირე კომენტარით: „ფირდოუსმა შეაგროვა ირანელ მეფეთა შესახებ ხალხში მოარული ამბები, გამოიყენა საშუალო სპარსულ ენაზე დაწერილი — „ხვადაინამაკი“ („მეფეთა წიგნი“), დაყიყის „შაჰ-ნამე“... გადაამუშავა ისინი თავის შემოქმედებით ქურაში და ასე შეუქმნა არა მარტო ირანს, არამედ მსოფლიო ლიტერატურას ირანის მხატვრულ ისტორიად წოდებული — უკვდავი „შაჰ-ნამე“. ასევე ნიზამი განჯელმა მანამდე არსებული ამბები დაუდო საფუძვლად თავის ხუთივე უკვდავ პოემას, მაგალითად: „ხოსროვსა და შირინს“ — „ირანული ქრონიკები“ და ფირდოუსის „შაჰ-ნამე“; „ლეილი და მაჯნუნს“ — არაბული ამბავი ლეილისა და მაჯნუნის სიყვარულისა; „ისქანდერ-ნამეს“ — აღმოსავლეთში ალექსანდრე მაკედონელზე მოარული ამბები; „შვიდ მთიებს“, თავისი შვიდივე ამბით — მანამდე ცნობილი ბაჰრამ გურის შვიდი ამბავი; „საიდუმლოებათა საგანძურს“ — აღმოსავლური არაკები. ფახრ ედ-დინ გორგანელი პოემის შესავალშივე გვაუწყებს, რომ ვეისის და რამინის ამბავი ჩემამდე ფალაურ ენაზე ექვსჯერ იყო დამუშავებული, მე მხოლოდ ენობრივად გავმართეო. ასეთი სურათია ასეულობით სხვა სპარსულ თუ არასპარსულენოვან აღმოსავლელ პოეტთა შემოქმედებაშიც, რომლებიც ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ საერთო ამბების მხატვრულად გადამუშავებაში, რის შედეგადაც დღეს მსოფლიო ლიტერატურა დამშვენებულია უამრავი „ლეილი და მაჯნუნით“, „იოსები და ზოლეიხათი“, „ხოსროვი და შირინით“ და ასე შემდეგ. ლიტერატურაში ეს ხომ მიღებული ნორმა იყო“, — წერს იგი და აქვე აღნიშნავს, რომ ყველა ამ ავტორს თავადვე აქვს მითითებული, რომ მათ სხვა ამბებიდან და ავტორებისგან ისესხეს ამბავი გასალექსად და ბევრი მათგანის პირველწყარო წიგნის სახითაც არსებობდა, რუსთველის შემთხვევაში კი არ არსებობს ნაწარმოები, საიდანაც მან ისესხა ან თარგმნა ამბავი.

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ მსგავსი ფაბულა არც ერთ სხვა ნაწარმოებში არ იკითხება, არსად მსგავსი ნაწარმოები არ აღმოჩენილა არც ერთ აღმოსავლურ ენაზე და შოთა რუსთაველის პოეტობა არასოდეს დამდგარა ეჭვქვეშ, კურცვალაი მაინც „პოულობს“ „არგუმენტს“ და წერს, რომ თურმე ირანული კულტურა დამპყრობთა თავდასხმების შედეგად ნადგურდებოდა და „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალი რომ არ შემორჩა, ეს არაფერს ნიშნავს. ნომადი ბართაია აქაც მყარი არგუმენტებით ასაბუთებს, რომ შოთა რუსთაველის პოეტობის ეჭვქვეშ დაყენება კურცვალაის არც ამ „მტკიცებულებით“ შეიძლება: „თურქ-სელჩუკებმა დაპყრობილ ირანში სახელმწიფო და ლიტერატურულ ენად დატოვეს სპარსული, რასაც, მათი იმპერიის ზრდასთან ერთად, მოჰყვა სპარსული ენის სამოქმედო არეალის გაფართოება. ამგვარად, მოხდა ისე, რომ თუ თურქ-სელჩუკებმა პოლიტიკურად დაიპყრეს ირანი, ირანელებმა კულტურულად მოიქციეს თავის გავლენის ქვეშ არა მარტო თურქ-სელჩუკები, არამედ, მთელი მათი იმპერია ანუ მთელი მახლობელი აღმოსავლეთი. ეს პროცესი წარმატებით გაგრძელდა შემდგომ საუკუნეებშიც და რაღა მაინც და მაინც თურქ-სელჩუკების დროს დაიკარგა ხელიხელსაგოგმანებელი მარგალიტი — „ამბავი სპარსული“, როცა ასეთ აყვავებას განიცდიდა სპარსული ლიტერატურა?“ — კითხულობს იგი და ნაშრომის ბოლო ნაწილში ასკვნის: „ირანელებსაც კი, რომლის სამყაროსაც უკავშირებს ქართველი პოეტი თავის პოემას, აზრად არ მოსვლიათ, რუსთველისთვის ეწოდებინათ მთარგმნელი და არა პოეტი. მათ ორჯერ თარგმნეს სპარსულად „ვეფხისტყაოსანი“ (ფარშიდ დელშადმა 1998 წ., მოჰამად ქაზემ იუსეფ-ფურმა 2000 წ.), როგორც ქართველი პოეტის ქმნილება“.

ნაშრომის თაობაზე ჩვენ შევხვდით ბატონ ნომადი ბართაიას. საუბარში ქართული კულტურის დისკრედიტაციის სხვა მაგალითებიც გამოიკვეთა, თუმცა „ვეფხისტყაოსნისა“ და შოთა რუსთველის „დამცრობა-დაკნინების“ ეს უხეირო მცდელობა მაინც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო: „ვეფხისტყაოსანი“ ჩვენი უპირველესი ძეგლია და, მართალი გითხრათ, არ მეგონა — თუ გამოჩნდებოდა ისეთი ვინმე, რომ რუსთაველს ავტორობას შეეცილებოდა ან ვინმე იტყოდა, რუსთაველი პოეტი კი არა, მთარგმნელიაო. იმ ეპოქაში ავტორს ამბის გამოგონების უფლება არ ჰქონდა. ამიტომ ხალხში და თაობებში მოარული ამბების გალექსვა ჩვეულებრივი მოვლენა იყო და თუ ეს პატარა ამბავი პოეტის ხელში ჩავარდებოდა, მერე იქცეოდა დიდ ამბად. მაგალითად, ნიზამი განჯელს თავისმა შირვან შახმა (დავით მეფის შვილის — თამარის შვილი იყო არსათანი) უთხრა, რომ არაბული ამბავია ლეილის და მეჯნუნის, რომელიც ლექსად აქციე და ყველასთვის გასაგებ ენაზე — სპარსულად ააწყვეო. ნიზამიმ ეს ამბავი გარდაქმნა პოემად და ისეთი კარგი გამოვიდა, რომ იმის მერე ყველა მისი მიბაძვით წერდა და ერთმანეთს ეჯიბრებოდა, ვინ დაწერდა უკეთესად. ასე შეიძლება ყოფილიყო რაღაც ამბავი, გინდ თურქული, გინდ სპარსული, რომელიც პოეტმა უზარმაზარ ნაწარმოებად აქცია. ყველა პოემა, რაც დაწერილია მსოფლიოში, ან აღმოსავლურია ან — დასავლური. „ვეფხისტყაოსანი“ არის შერწყმა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა, რადგან საქართველო ყოველთვის შუა გეოგრაფიულ არეალში იყო და ორივე კულტურას ერთ დონეზე იღებდა. ამაში მდგომარეობს „ვეფხისტყაოსნის“ უნიკალურობაც — მასში ორივე კულტურა ერთ დონეზეა შერწყმული“, — გვითხრა ნომადი ბართაიამ.

ქართული კულტურის დისკრედიტაციის ნებისმიერ მცდელობას სწორედ ამგვარი — მეცნიერული არგუმენტებით გამყარებული ნაშრომებით უნდა ვებრძოლოთ და ნომადი ბართაიას „მცდელობა ქართული კულტურის დისკრედიტაციისა“ ამის კარგი მაგალითია.



სტუდ-ეფექტი

№24

გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ სტუდენტური ჩანართი

სტუდენტური ფესტივალი 2019

ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲐ

7 მაისი, 5 საათი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის წინ შეკრებილი სტუდენტების რაოდენობა თანდათან მატულობს. ისინი სტუდენტური ფესტივალის გახსნაზე თავიანთი უნივერსიტეტის საგულშემატკივროდ იკრიბებიან. დაახლოებით 6 საათისთვის კი ავტობუსებით დანიშნულების ადგილისკენ მიემართებიან.

წელს სტუდენტური დღეები დიღომში, ოლიმპიური პარკის ტერიტორიაზე მოწყობილ სტუდენტურ ქალაქში, 10 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. მინი ფეხბურთი, ქუჩის კალათბურთი, ფრენბურთი, ქართული და თანამედროვე ცეკვები, ხალხური სიმღერა, მუსიკალური ბენდების კონკურსი — ეს ის აქტივობებია, რომლებშიც სხვადასხვა ტიტულის მოსაპოვებლად საქართველოს 36 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 50 000-მდე სტუდენტი იბრძოდა.

ოლიმპიური პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე შეკრებილი სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტები ფესტივალის გახსნას ელოდებოდნენ. საყვირების ფონზე საგულშემატკივრო შეძახილები არ წყდებოდა.

თათა ჩუტკერაშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პირველკურსელია. იგი ღონისძიებას უნივერსიტეტის გულშემატკივრის სტატუსით წელს პირველად ესწრებოდა: „იმდენად დიდი შთაბეჭდილება და ემოცია დამრჩა, დარწმუნებული ვარ, კიდევ ბევრჯერ დავინტერესდები მსგავსი ტიპის ღონისძიებით. ჩემი აზრით, ასეთი აქტივობები არა მარტო სახალისო, არამედ ძალიან მნიშვნელოვანია ახალგაზრდებისთვის, მათი განვითარებისთვის. მსგავსი შეჯიბრებები მოტივაციას აუმაღლებს როგორც სპორტსმენებს, ისე ყველა იმ სტუდენტს, რომლებსაც სურთ, თავიანთი შემოქმედება ამა თუ იმ კუთხით წარმოაჩინონ“, — გვითხრა მან.

ღონისძიებაში სტუდენტების ჩართულობაზე ისაუბრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის კულტურის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ალექსანდრე გაბაშვილმა. მისი თქმით, სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ სტუდენტებმა თავად გამოიჩინეს ინიციატივა — საგულშემატკივროდ წამოსულიყვნენ.

ისეთი ღონისძიება, როგორიც სტუდენტური დღეებია, თითოეული უნივერსიტეტისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით კი იმ უნივერსიტეტისთვის, რომელიც კავკასიაში პირველია“, — თქვა ალექსანდრე გაბაშვილმა.

სტუდენტური ფესტივალის გახსნის ცერემონიას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 1000-ზე მეტი სტუდენტი საყვირებით, დროშებითა და შეძახილებით შეუერთდა.

შეკრებილ სტუდენტებს სიტყვით მიმართა პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ. მან აღნიშნა, რომ თვის ბოლომდე შეიქმნება ახალი ახალგაზრდული პლატფორმა, რომელიც შესაძლებელს გახდის — მსგავსი ფესტივალები საქართველოს ყველა კუთხეში ჩატარდეს.

სტუდენტური ფესტივალის გახსნის ღონისძიებას თსუ-ის რექტორის მოადგილე ნინო ოკრიბელაშვილი ესწრებოდა. მან წარმატებები უსურვა ფესტივალში მონაწილეებს.

ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდა დედაქალაქის მერი კახა კალაძეც. მან სტუდენტებს მსგავსი ტიპის აქტივობების ჩასატარებლად მხარდაჭერა აღუთქვა.

ფესტივალის გახსნის ცერემონიას მუსიკალურად ჯგუფი „სახე“ და დიჯეი გიგა პაპასკირი აფორმებდა.

ᲗᲡᲣ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲖᲔ

სტუდენტური ფესტივალის ფარგლებში უნივერსიტეტებს შორის სპორტულ და კულტურულ-შემოქმედებით აქტივობებში შეჯიბრი რამდენიმე დღე მიმდინარეობდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა წარმატებულად ისაპარეზეს და რამდენიმე პრიზიც დაიმსახურეს.

ფესტივალზე თსუ-ის ფრენბურთელ ვაჟთა ნაკრებმა II ადგილი, ხოლო ფეხბურთში II ადგილი დაიკავეს. უნივერსიტეტს ასევე III ადგილი ერგო ქართულ ცეკვებში.

თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის შოთა კეჟერაშვილის თქმით, „თსუ ამ ეტაპზე ერთ-ერთი მოწინავე უნივერსიტეტია, რადგან გახსნის ღონისძიებიდან მოყოლებული, საკმაოდ ბევრი სტუდენტი აქტიურად იღებდა მონაწილეობას როგორც გულშემატკივრის, ისე მონაწილეს სტატუსით. სასიხარულოა, რომ ავიღეთ ყველაზე ორგანიზებული უნივერსიტეტის პრიზი. ფესტივალი გამორჩეული იყო თავისი მასშტაბურობით, ძალიან კარგად ჩაიარა ყველაფერმა და იმედი გვაქვს, რომ პერმანენტულ ხასიათს მიიღებს“, — აღნიშნა შოთა კეჟერაშვილმა.

ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘᲡ ᲓᲐᲮᲣᲠᲕᲐ

„სტუდენტური ფესტივალი 2019“-ის გამარჯვებული უნივერსიტეტი მოგებული კონკურსების ჯამური რაოდენობისა და გულშემატკივართა აქტიურობის მიხედვით 16 მაისს გამოვლინდა.

ფესტივალის დახურვას ესწრებოდა ქალაქ თბილისის მერი კახა კალაძე, რომელმაც სტუდენტური დღეების წარმატებით დასრულება მიულოცა მონაწილეებს: „მიხარია, რომ ამდენი ახალგაზრდა შეიკრიბა. დარწმუნებული ვარ, ეს ტენდენცია, რომელიც ჩვენ დავამკვიდრეთ, აუცილებლად გაგრძელდება და დედაქალაქის მთავრობის მხრიდან მხარდაჭერაც გექნებათ“, — მიმართა მან სტუდენტებს.

კახა კალაძემ გამარჯვებული უნივერსიტეტები დააჯილდოვა: 2019 წლის გამარჯვებულის თასი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს გადაეცა, II ადგილის მფლობელი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი გახდა, ხოლო III ადგილი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტმა დაიკავა.

ფესტივალი თბილისის მერიის, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერითა და საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ორგანიზებით, წელს მეოთხედ გაიმართა.

ფესტივალის მიზანი სტუდენტებში ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, მათი ნიჭის რეალიზაცია, მოტივაციის ამაღლება და სტუდენტებს შორის ჯანსაღი კონკურენციის პრინციპის ჩამოყალიბებაა.

ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲐᲫᲔ,
თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი

საქართველო ევროპის სტუდენტთა გაერთიანების (ESU) ოფიციალური წევრი გახდა

ნატო ობოლაძე

საქართველო ევროპის სტუდენტთა გაერთიანების (ESU) ოფიციალური წევრი გახდა. ESU-თან მოლაპარაკებებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი, სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტი არჩილ ჯავახიშვილი საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის სახელით აწარმოებდა. ევროპის სტუდენტთა გაერთიანების ბორდის ბოლო შეხვედრაზე, რომელიც სოფიაში (ბულგარეთი) გაიმართა, ევროპის სახელმწიფოებმა საქართველოს გაწევრიანებას ერთხმად დაუჭირეს მხარი.

„რუმინეთში შეხვედრის შემდეგ ყველა საჭირო დოკუმენტი გავაგზავნეთ და ბორდის შეხვედრაზე სოფიაში წარმოვადგინეთ ჩვენი ნაციონალური სტუდენტური ორგანიზაცია (სოა), ავხსენით მისი მუშაობის სპეციფიკა და ვუპასუხეთ ევროპელი სტუდენტების მრავალ შეკითხვას. საბოლოოდ, ერთხმად დაგვიჭირა მხარი ევროპის ყველა სახელმწიფომ და საქართველო ამ ძალიან ძლიერი ორგანიზაციის ნაწილი გავხდით. ESU-სთან თანამშრომლობით დაიწყება ცვლილებების ტალღა ქვეყანაში არსებულ სტუდენტურ ორგანიზაციებში, რომლებიც მეტად მობილურები და ინტერნაციონალურები გახდებიან, მიიღებენ უფრო მეტ გამოცდილებას ევროპის სხვადასხვა სტუდენტურ გაერთიანებებთან ორმხრივ პროექტებში ჩართვით და ხელს შეუწყობენ ქვეყანაში ყველა იმ რეფორმის სწრაფ გატარებას, რომლებიც მიიღება ზემოთ ჩამოთვლილ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ“, — აცხადებს არჩილ ჯავახიშვილი.

არჩილ ჯავახიშვილი

ESU 1982 წელს დაფუძნდა და აერთიანებს 40-ზე მეტ სახელმწიფოსა და 39 მილიონამდე სტუდენტს. გაერთიანების ძირითადი მიზნებია სტუდენტთა ხმის წარმოდგენა ისეთ ორგანოებში, როგორებიცაა ევროკავშირი, ევროსაბჭო, ბოლონიის პროცესის მონაწილე სახელმწიფოები, UNICEF და სხვ.

ქვალონიდან პეკინამდე

როგორც ჩინელები ამბობენ, ყველა საოცარი მოგზაურობა პირველი ნაბიჯით იწყება. 3,632.77 მილის სიგრძეზე გადებულმა ჩინური ენის ხიდმა პირველად ჯერ ხუნანის პროვინციაში ჩაიყვანა. სამშობლოში ჩამოსულმა გააცნობიერა, რომ ეს ის ადგილი იყო, სადაც ხელმეორედ აუცილებლად უნდა დაბრუნებულიყო, თანაც ამჯერად უფრო ხანგრძლივი დროით... თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების სტუდენტი გოგი ყურაშვილი უკვე ნახევარი წელია ჩინეთის სამთავრობო სტიპენდიის გაცვლითი პროგრამის მონაწილეა და ჩინურ ენას, სამშობლოსგან მოშორებით, მსოფლიოს ყველაზე მრავალრიცხოვან ქვეყანაში სწავლობს.

გოგი ყურაშვილი

პირველად მამამ ურჩია ესწავლა ენა, რომელიც თანდათან გაცილებით მნიშვნელოვანი ხდებოდა მსოფლიოში. მამა იყო მისი პირველი გულშემატკივარიც. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოხვედრის შემდეგ ეს როლი აქაურმა ლექტორებმა იტვირთეს და მერე უკვე მათი რჩევით მოჰკიდა ხელი ერთ-ერთი ურთულესი ენის შესწავლას. საკუთარი თავისთვის ნათქვამმა „რატომაც არა“, თსუ-ში მიღებულმა ცოდნამ და გულშემატკივართა მოტივაციამ მიიყვანა ბიჭი ხობის რაიონის სოფელ ქვალონიდან ჩინეთის დედაქალაქამდე.

გოგი ყურაშვილის რთული, თუმცა საუცხოო მოგონებებით დატვირთული წარმატების გზა საკუთარი სამშობლოდან 6000 კილომეტრის დაშორებით შორეულ პეკინში, ენისა და კულტურის უნივერსიტეტში გრძელდება. ორ ქვეყანას შორის არსებულმა სხვაობამ მალევე იჩინა თავი, თუმცა როგორც თავად ამბობს, ძალიან უყვარს აღმოჩენები, ამიტომ გარემოსთან დიდად შეგუება არ გასჭირვებია.

„პროგრამის შესახებ იმ მეგობრებისგან გავიგე, რომლებიც უკვე გამოცდილები იყვნენ. გადავწყვიტე, მეც მეცადა და, როგორც ჩანს, ჩემი მცდელობა წარმატებული გამოდგა“.

კითხვაზე, რატომ მაინც და მაინც ჩინეთი, გვპასუხობს, რომ ყოველთვის უყვარდა გამოწვევები და ხიბლავდა ეგზოტიკა, პეკინი კი სწორედ მათი ნაზავია.

„ამ კითხვას ხშირად მისვამენ არა მარტო ქართველები ან ევროპელები, ჩინელებიც კი. რატომღაც უკვირთ. ყოველთვის მინდოდა, ქვეყნის საზღვრებს გავცდენოდი და სწავლა უცხოეთში გამეგრძელებინა. როცა გავიგე, რომ თსუ ორი ახალი უცხო ენის — ჩინურისა და იაპონურის შესწავლას მთავაზობდა, ჩინური ავირჩიე. მთავარი მოტივაცია, ალბათ, პეკინში სწავლის გაგრძელება იყო. გადავწყვიტე, მიმეღო ჯერ გამოწვევა და შემდეგ — გამოცდილება, არა მარტო სწავლის, ცხოვრებისაც“.

სრულიად განსხვავებულ ქვეყანაში ცხოვრება გოგისთვის ნამდვილად დიდი შანსი აღმოჩნდა, შანსი, რომელიც, მისი თქმით, თსუ-მ ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ მისცა, როცა სხვა გაცვლითი პროგრამით 2 კვირით ეწვია ხუნანის პროვინციას.

თუმცა, მეორე ვიზიტი სრულიად განსხვავებული და გაცილებით ხანგრძლივი გამოდგა. ამჯერად საკმარისი დრო აქვს ადგილობრივებისთვის საქართველოს გასაცნობად. ორ ნაწილად გაყოფილი ჩინეთის პოლიტიკურ ნაწილში საქართველოს შესახებ მეტს სმენია, ვიდრე პატარა პროვინციაში. აქ მსოფლიოს ცნობადობაც გაცილებით მაღალია და, პროვინციებისგან განსხვავებით, უცხოელებს „მუზეუმის ექსპონატებად“ არ აღიქვამენ. მაგრამ გოგის მაინც ხშირად უწევს პატარა ქვეყნის გაცნობა მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან ჩამოსული სტუდენტებისა და მათი მასპინძელი ჩინელებისათვის.

„აქაურების დიდმა ნაწილმა საქართველოს შესახებ არაფერი იცის, ზოგი კი პირიქით — გაგაოცებს, იმდენ რამეს მოგიყვება. ცნობადობა, ძირითადად, სტალინს უკავშირდება, რაც ახალი თაობისათვის არც ისე სასიამოვნოა — „ა, სტალინის ქვეყნიდან ხარ?!“ — ნამდვილად არაა ის, რის მოსმენასაც ისურვებდი, მაგრამ სტალინი აქაურებისთვის საკულტო ადამიანია, XX საუკუნის უძლიერესი მმართველი, ამიტომ კამათს აზრიც არ აქვს. ნაწილი ნამყოფია კიდეც საქართველოში და ხსენებისთანავე მაჩვენებს თბილისის, მცხეთისა თუ ბათუმის ფოტოებს. ასეთი რაღაცები გულს გითბობს, გიხარებს“.

მათთვის, ვინც ქვეყანას ჯერ არ იცნობს, პეკინის უნივერსიტეტში კულტურის ფესტივალი იმართება, როგორც ადგილობრივები მას უწოდებენ — „ვენხუაძიე“. აქ გამოფენილ სტენდებზე მილიონობით ადამიანს აქვს საშუალება — გაეცნოს ქართულ კულტურას და გაიგოს მეტი ამ ქვეყნის შესახებ.

„ჩინელებისთვის ძალიან უჩვეულოა, როცა სახელმწიფო დაწესებულებები დილის 10 საათზე იწყებენ მუშაობას. აქ დილა გამთენიის 5-ზე იწყება და მთელი დღე პროდუქტიულ მუშაობაში გადის. ზედმეტად მოწესრიგებულებიც კი არიან, რობოტიზაციის დონემდე, რაც ჩვენთვის ცოტა უცხოა. მახსოვს, ერთხელ გზა ჩაინგრა უნივერსიტეტთან. საქართველოში მის აღდგენას თვეები დასჭირდებოდა, ჩვენ კი მეორე დღეს ვერც კი მივხვდით, ზუსტად სად ჩამოწვა მიწის მასა, კვალიც არსად იყო. თუმცა უნდა ითქვას, რომ აქაურები ზედმეტად მატერიალისტები არიან. თუკი საქართველოში შეგვიძლია ერთმანეთს დავეხმაროთ, აქ უსასყიდლოდ რაიმე დახმარების მიღება თითქმის გამორიცხულია. ცხადია, მარტივ რაღაცებს არ ვგულისხმობ, პირიქით, თუ, მაგალითად, გზა აგერია და იკითხე, შეიძლება გამოგყვნენ და მიგაცილონ კიდეც“.

გარდა იმისა, რომ ხალხთა შორის ბევრი განსხვავება უკვე აღმოაჩინა, ახლა უნივერსიტეტებს ადარებს. სწავლა იქაც ჩვეული, გამოცდილი მეთოდებით მიმდინარეობს, განსხვავება სხვა აქტივობებში ვლინდება.

„აქაური უნივერსიტეტების გარშემო სტუდენტური ქალაქებია მოწყობილი საცხოვრებელი კამპუსებით, სასწავლო კორპუსებით, სპორტული მოედნებითა და ასე შემდეგ. დილაადრიან დაწყებული ლექციები დღის პირველ ნახევარშივე სრულდება. ამიტომ, ხშირად გვრჩება დრო გართობისთვის — პეკინში კი ყველაფერია გასართობად“.

კითხვაზე — რა მისცა პეკინის უნივერსიტეტმა ახალი? — გვპასუხობს, რომ, გარდა განათლებისა, აქ ყველაზე მნიშვნელოვანი — ადამიანური ურთიერთობები მიიღო. სირიელ, ინდონეზიელ, იაპონელ, ეგვიპტელ და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულ სტუდენტებთან ერთად, როგორც თავად ამბობს, მთავარ ცხოვრებისეულ გამოცდილებასაც იძენს.

სამშობლოში დაბრუნებამდე კიდევ 6 თვეა. მანამდე კი კილომეტრებით შორს, სასწავლებლად წასულ ქართველ სტუდენტს ყველაზე მეტად ქართული მთები და სამზარეულო ენატრება. ეს მონატრებაც 6 თვეს გასტანს.

„პირველი შოკი იყო ჩემთვის, როცა აღმოვაჩინე, რომ ჩინელები არ ჭამენ პურს, ყველს, რძეს, მარილიანს — იმას, რაც ქართული სამზარეულოსთვის ასეთი ორგანულია. ზოგადად, შეგუების პროცესი რთული იყო. ძალიან დიდი სხვაობაა კულტურათა შორის, მაგრამ აქაურები ძალიან დამეხმარნენ. მათთვის მნიშვნელოვანი და ღირებულია მათი ენითა და კულტურით რომ ინტერესდება უცხოელი, ამიტომ ყველაფერს აკეთებენ უკეთ ინტეგრაციაში ხელშეწყობად“.

საკუთარი ფესვებისგან შორს მყოფი გოგი ყურაშვილის სამომავლო გეგმები 10 და 15 წელს არ ითვლის, თუმცა ერთი რამ ზუსტად იცის, რომ კურსის დასრულების შემდეგ აუცილებლად გააგრძელებს სწავლას ჩინეთში, ამჯერად სამაგისტრო პროგრამაზე. ჩინელები ამბობენ, მოგზაურობიდან ხომ არავინ ბრუნდება ისეთი, როგორიც წასვლის წინ იყოო და მიღებული ცოდნით ახალგაზრდა სტუდენტი დაბრუნებას კვლავ სამშობლოში აპირებს, რათა საკუთარი გამოცდილება ახლა უკვე სხვებს გაუზიაროს.

თამარ ზარანდია,
ნინო შუბითიძე,
თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები

გაიცანით თსუ-ის სტუდენტი **გვანცა გაგნიძე**

იგი 2018 წლის „ეიფელის ბრწყინვალების სტიპენდიის ლაურეატი გახდა.

გვანცა სწავლას მაგისტრატურის საფეხურზე სტრასბურგის საერთაშორისო და ევროპული სამართლისა და ადამიანის უფლებების სამაგისტრო პროგრამაზე განაგრძობს.

„ეიფელის ბრწყინვალება“ არის საფრანგეთის ევროპისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს დაწესებული სტიპენდია, რომელიც საფრანგეთის უმაღლეს სასწავლებლებს საშუალებას აძლევს მოიზიდონ საუკეთესო უცხოელი სტუდენტები სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად.

* * *

გაიცანით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის, მაგისტრატურის პირველი კურსის, ფუნდამენტური ფიზიკის მიმართულების სტუდენტი **გიორგი ქუმსიაშვილი**, რომელმაც იაპონიის მთავრობის სტიპენდია მოიპოვა და სწავლას ორი წლის განმავლობაში, ოსაკას უნივერსიტეტში ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკის სამაგისტრო პროგრამაზე განაგრძობს.

* * *

გაიცანით **გიორგი მეგრელი**, ის თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კურსდამთავრებულია.

გიორგი Google-ს ლონდონის ოფისში დასაქმდა.

მან Google-ს რეკრუტერთან 8 45-წუთიანი გასაუბრების, ტექნიკური კითხვებისა და პროგრამული კოდების წერის შემდეგ, დაახლოებით 10 დღეში კომპანიიდან დადებითი პასუხი მიიღო.

საჯარო ლექციები ქალთა უფლებებისთვის

შურთხია ბეროშვილი

რაც უნდა გასაკვირი იყოს, 21-ე საუკუნეშიც, რომელსაც ხშირად „ქალების საუკუნეს“ უწოდებენ, ქალთა უფლებები და მათი დაცვა კვლავ გლობალურ პრობლემად რჩება. საქართველოში, სადაც ქალთა უფლებების დაცვის საკითხი კვლავ აქტუალურია, სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ამ მიმართულებით მრავალი პროექტი ხორციელდება, მათ შორის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტში.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკისმცოდნეობის დოქტორი ქეთევან ანთელავა წლების მანძილზე აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა საერთაშორისო პროექტში და ამ მიმართულებით საკმაოდ წარმატებულად მოღვაწეობს. მისი კვლევის სფერო მოიცავს ქალთა ისტორიის საკითხებს, ამერიკის კულტურული მრავალფეროვნებისა და უმცირესობათა თანასწორობის საკითხების კვლევას.

2012 წელს ქეთევან ანთელავამ მონაწილეობა მიიღო აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დაფინანსებულ საერთაშორისო პროგრამაში „შეერთებული შტატების შესწავლის ინსტიტუტი (SUSI) — ამერიკის კულტურა და საზოგადობა“, რომელსაც ნიუ-იორკის უნივერსიტეტი მასპინძლობდა.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ იგი აქტიურად ჩაება ამერიკაში მიღებული გამოცდილების რეალიზაციის პროცესში: 2015 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია 1830-1930-იანი წლების ამერიკელ მეცენატ ქალთა მოღვაწეობაზე და გახდა პირველი დოქტორი ამერიკისმცოდნეობის სპეციალობით. დისერტაცია ეყრდნობოდა ნიუ-იორკის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკასა და სმითსონიანის მუზეუმში მოპოვებულ საარქივო მასალების ანალიზს. უკვე მრავალი წელია, ქეთევან ანთელავა მნიშვნელოვან საერთაშორისო ფორუმებს სტუმრობს და გამოდის მოხსენებებით ევროპისა და ამერიკის წამყვან უნივერსიტეტებში. ამერიკელ

ქეთევან ანთელავა

ქალთა საქმიანობის შემდგომი შესწავლისა და პოპულარიზაციის მიზნით, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე მან შექმნა ორიგინალური სალექციო კურსები: ინგლისურენოვანი „ამერიკელ ქალთა ნარატივები“ და „ქალთა თანასწორობა, რასიზმი და უმცირესობათა პრობლემები თანამედროვე ამერიკაში“.

23-24 მარტს, ნიუ-იორკის უნივერსიტეტმა (NYU) ფლორენციულ ფილიალ ვილა ლა პიეტრაში უმასპინძლა საერთაშორისო კონფერენციას „ამერიკული ინსტიტუტები, ფასეულობები და მიდგომები“.

„კონფერენცია ძალიან წარმომადგენლობითი იყო და მასში მონაწილეობას იღებდა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მკვლევარი, რომლებიც სხვადასხვა დროს, ჩემს მსგავსად, იყვნენ სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დაფინანსებული გაცვლითი პროგრამის მონაწილეები. ჩვენ ყველას ნიუ იორკის უნივერსიტეტის ამერიკისმცოდნეობის მულტინაციონალური ინსტიტუტი (MIAS) გვაერთიანებს. კონფერენციის თემატიკა გამორჩეულად მრავალფეროვანი იყო და მოიცავდა ისეთ თემებს, როგორიცაა: ამერიკული დემოკრატიული ფასეულობები, კულტურული მრავალფეროვნება, ლიტერატურა, ქალთა თანასწორობის საკითხები, ენის სწავლების მეთოდოლოგია და სხვა“, — ამბობს ქეთევან ანთელავა.

ამ საერთაშორისო ფორუმზე ამერიკისმცოდნეობის დოქტორმა ქეთევან ანთელავამ წარმოადგინა მოხსენება მულტიკულტურალიზმის პრობლემებსა და მათ გადაჭრაში ამერიკელი მეცენატი ქალების როლზე, რომელმაც ცხოველი ინტერესი და დისკუსია გამოიწვია.

* * *

8 და 13 მაისს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქეთევან ანთელავამ წაიკითხა საჯარო ლექციები თემაზე: „მაისიც ქალთა ისტორიის თვეა. ქალთა უფლებებისათვის ბრძოლის 100 წელი: ელიზაბეტ ქეიდი სტენტონიდან გერტრუდ ვანდერბილტ უითნიმდე“, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია ორივე უმაღლესის სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შორის. საჯარო გამოსვლა შეეხებოდა, ერთი მხრივ, ამერიკელ სუფრაჟისტ და სამოქალაქო უფლებებისათვის მებრძოლ ქალებს, ხოლო, მეორე მხრივ, ქალებს, რომლებიც დაკავებული იყვნენ ხელოვნების პროპაგანდით და მეცენატობით 100 წლის მანძილზე, 1840-1940-იან წლებში. პოზიცია, რომელსაც ქეთევან ანთელავა იცავს, იმაში გამოიხატება, რომ ფემინიზმი არ გულისხმობს მხოლოდ პოლიტიკურად აქტიურ ქალებს, არამედ, საერთოდ, ყველა იმ ქალს, ვინც იბრძვის სამართლიანობისა და თანასწორუფლებიანობისათვის. ლექცია უხვად იყო გაჯერებული ქართული პარალელებით.

„ტრადიციულად, მარტი ამერიკაში ქალთა ისტორიის თვეა და რიგითი თუ ცნობილი, თანამედროვე თუ ისტორიული ფიგურების გახსენებას, მათი საქმიანობის ანალიზსა და პოპულარიზაციას ეძღვნება. მაგრამ ქალთა პრობლემებსა და მიღწევებზე საუბრისთვის ერთი თვე საკმარისი არ არის და ამისთვის ყველა თვე უნდა გამოვიყენოთ“, — აღნიშნავს ქეთევან ანთელავა.

მკვლევარი გეგმავს ასეთსავე საჯარო გამოსვლებს ქუთაისისა და ბათუმის უნივერსიტეტებში. სამომავლოდ, აგრეთვე განზრახული აქვს ახალი საჯარო ლექციების ციკლით წარდგეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რომელიც ამერიკელ ქალთა მოღვაწეობას შეეხება.

საქართველოში ფსიქოლოგია 101 წლისაა

თამარ დადიანი

თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანიზებით 12 აპრილს თსუ-ში გაიმართა ფსიქოლოგიის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კონფერენცია, რომლის მიზანს წარმოადგენდა ფსიქოლოგიაში მოღვაწე ქართველი და უცხოელი მკვლევრების სამეცნიერო კვლევებისა და ინოვაციების პოპულარიზაცია, თავმოყრა-გაზიარება, ასევე მეცნიერთა შორის მჭიდრო სამეცნიერო კავშირების სტიმულირება. კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ: თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი ლალი სურმანიძე, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი დიმიტრი ჩუბინიძე, დეკანის თანაშემწე მარიამ მანწკავა, რესურსების მართვის სამსახურის უფროსი მარიამ კვარაცხელია და სპეციალისტი ქეთევან ფანცულაია.

კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო სამი სესია: კოგნიტური ფსიქოლოგია (მოდერატორი დალი ფარჯანაძე, ემერიტუსი); პიროვნების და კლინიკური ფსიქოლოგია (მოდერატორი — მარინე ჩიტაშვილი, პროფესორი) და სოციალური ფსიქოლოგია (მოდერატორი ანასტასია ქიტიაშვილი, ასოცირებული პროფესორი).

კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს პროფესორებმა, მკვლევრებმა და ახალგაზრდა მეცნიერებმა.

კონფერენციის შესახებ გვესაუბრება თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი **დიმიტრი ჩუბინიძე**:

— თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური ყოველწლიურად მართავს სამეცნიერო კონფერენციას, თუმცა ქართული ფსიქოლოგიის კონტექსტში აღნიშნული ღონისძიება მნიშვნელობით გამორჩეული გახლდათ. მოგეხსენებათ,

ლალი სურმანიძე

დიმიტრი ჩუბინიძე

რომ თსუ-ში მეცნიერული ფსიქოლოგიის სწავლებას საუკუნოვანი ისტორია აქვს, დღეს კი ჩვენი ფაკულტეტი წარმოადგენს კავკასიის ყველაზე დიდ ინსტიტუციას, რომელიც ახორციელებს სასწავლო და კვლევით საქმიანობას ფსიქოლოგიის, განათლების მეცნიერებებისა და მომიჯნავე ინტერდისციპლინურ სფეროებში.

საქართველოში ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ისტორია ემთხვევა თბილისის უნივერსიტეტის ისტორიას, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი კი მისი ტრადიციების გამგრძელებელია. კონტექსტის გათვალისწინებით, თბილისის უნივერსიტეტისა და ქართული ფსიქოლოგიის არსებობის საიუბილეო თარიღის დამთხვევა აისახა კონფერენციის სახელწოდებაშიც — საქართველოში ფსიქოლოგია 101 წლისაა“. კონფერენციის კონცეფცია და სახელწოდება პროფესორ მარინე ჩიტაშვილის იდეა გახლდათ.

კონფერენცია საზეიმო ვითარებაში გახსნა თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ სამეცნიერო დარგში, პროფესორმა ლალი სურმანიძემ. კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებები კონკურსის წესით შეირჩა, რომელთა ავტორებიც გახლდათ 40-მდე ქართველი და უცხოელი მეცნიერი.

გარდა ამისა, რამდენიმე მოხსენება საჟურნალე სტატიად მომზადდება. შესაბამისი პროცედურების გავლის შემდეგ, შესაძლოა, ისინი გამოქვეყნდეს ფაკულტეტის საერთაშორისო „ქართული ფსიქოლოგიური ჟურნალის“ მეორე ნომერში.

სამეცნიერო კონფერენციამ დასაბამი მისცა თსუ-ის ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ახალ ტრადიციას და, ამიერიდან, ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია ფსიქოლოგიის საერთაშორისო დღეს დაემთხვევა, რომელიც 12 აპრილს აღინიშნება.

ᲡᲐᲒᲐᲜᲛᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ᲝᲯᲐᲮᲨᲘ ᲫᲐᲚᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

ᲜᲐᲑᲝ ᲝᲑᲝᲚᲐᲫᲔ

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორებმა ოჯახში ძალადობის სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტების თემაზე სეზონური სკოლა და სამეცნიერო კონფერენცია გამართეს. სეზონური სკოლის სამიზნე ჯგუფი ახალგაზრდა თაობა სკოლის მოსწავლეები და სტუდენტები იყვნენ. პროექტის მთავარი დანიშნულება ოჯახური და გენდერული ძალადობის საკითხზე მონაწილეების სწორი ხედვის ჩამოყალიბება გახლდათ. პროექტი შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, საზოგადოების სამართლებრივი თვითშეგნების ამაღლების გზით ოჯახში დანაშაულის პრევენციის მიზნით განხორციელდა. სეზონური სკოლა 6 აპრილს დასრულდა. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია 10-11 მაისს გაიმართა.

„ოჯახში ძალადობა დიდი ხნის განმავლობაში ტაბუდადებული თემა იყო და არ ხდებოდა ამ ფენომენის დეკონსტრუქცია. ასეთი პროექტები მნიშვნელოვანია, რათა პრობლემაზე საზოგადოების ყურადღება გავამახვილოთ. ამ კუთხით იურისტების, ფსიქოლოგების, სტუდენტებისა და მოსწავლეების ერთობლივი ჩართულობა ძალიან მნიშვნელოვანია. იმედია, რომ ეს არის დასაწყისი და ასეთი პროექტები გაგრძელდება“, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ.

„ჩვენ ხშირად ვამბობთ, რომ სამართალი არ არის მხოლოდ კანონშემოქმედებითი პროდუქტი, სამართალი არის განათლების პროდუქტი. პროექტი — „ოჯახში ძალადობის სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები“ სამართლის ორივე მთავარ დანიშნულებას პასუხობს“, — აღნიშნა იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა თამარ ზარანდიამ.

პროექტი „ოჯახში ძალადობის სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა ჯგუფმა მაია ივანიძემ, ნონა თოდუამ და ასისტენტ-პროფესორმა ირინა ხერხეულიძემ მოამზადეს. ორგანიზატორებმა სეზონური სკოლის მსმენელებად სპეციალურად შეარჩიეს სკოლის მოსწავლეები და სტუდენტები — ადამიანები, რომლების შეხედულებებიც ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია. ლექციების დროს ოჯახში ძალადობის პრობლემა სისხლისსამართლებრივ და კრიმინოლოგიურ ასპექტებთან ერთად ფსიქოლოგიური და სოციალური კუთხით გააანალიზეს, რათა ახალგაზრდებმა საზოგადოების მოწყვლადი ნაწილის უფლებების დასაცავად რისკების შეფასება და პრობლემის მართვა უკეთ შეძლონ.

„ოჯახში ჩადენილი ძალადობის რეალურმა ფაქტებმა და საგანგაშო სტატისტიკამ ნათლად დაგვანახა ამ დანაშაულთან სხვადასხვა მეთოდებით ბრძოლის აუცილებლობა. თემის აქტუალურობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ კომბინირებული ღონისძიების შერჩევა, რაც მოიცავს სეზონურ სკოლასა და კონფერენციას. სეზონური სკოლის ფარგლებში განვიხილეთ საზოგადოების დამოკიდებულება ოჯახში ძალადობის მიმართ, მიმართვიანობის პრობლემა, ბრაზის მართვა, მოქმედმა მოსამართლეებმა გააანალიზეს ამ საკითხთან დაკავშირებით ეროვნული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და ევროსასამართლოს პრეცედენტები, ფსიქოლოგებმა ბავშვის აღზრდის პროცესში ოჯახის როლის თაობაზე ისაუბრეს. ჩვენი ამოცანა გახლდათ საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობა“, — განაცხადა იურიდიული ფაკულტეტის პროფესორმა, პროექტის ხელმძღვანელმა მაია ივანიძემ.

სეზონური სკოლისთვის სტუდენტებზე, მოსწავლეებზე და დაინტერესებულ პირებზე მორგებული სალექციო პროგრამა შემუშავდა. პრობლემის რაობის, მისი გამომწვევი მიზეზებისა და მოგვარების გზებზე ინფორმაციის სწორად და ამომწურავად მიწოდების მიზნით, პროექტში ქართველი და უცხოელი მეცნიერები, ფსიქოლოგები, პრაქტიკოსი იურისტები — მოსამართლეები, პროკურორები და ადვოკატები ერთობლივად ჩაერთნენ.

„ჩვენ ყველანაირად ვეცადეთ, რომ ეს ტრენინგი ყოფილიყო ყოვლისმომცველი — პროფესორებმა ოჯახში ძალადობის დანაშაულის თეორიულ მხარეზე გაამახვილეს ყურადღება, პრაქტიკოსმა იურისტებმა — საკითხის პრაქტიკულ ასპექტზე, ფსიქოლოგებმა — პრობლემის ფსიქოლოგიურ მიზეზებსა და შედეგებზე ისაუბრეს. რაც შეეხება საკითხის რელიგიური თვალსაზრისით განხილვას, თავი შევიკავეთ და რწმენის თავისუფლების დაცვის მიზნით მართლმადიდებელი სასულიერო პირები პროექტში არ მოგვიწვევია. მასალა, რომელიც სეზონური სკოლის სამიზნე აუდიტორიას მივაწოდეთ, შევეცადეთ, რომ როგორც სტუდენტებისთვის, ასევე სკოლის მოსწავლეებისთვის ახალი, საინტერესო და მარტივად აღქმადი ყოფილიყო.

ოჯახში ძალადობის დანაშაული, მეცნიერულ დონეზე, პროექტის ფარგლებში დაგეგმილ საერთაშორისო კონფერენციაზე განვიხილეთ. ღონისძიებას მსმენელის სტატუსით სტუდენტები და მოსწავლეებიც დაესწრნენ, რათა აქედანვე შეეჩვიონ საკითხისადმი ლოგიკურ მიდგომასა და მეცნიერულ კვლევას“, — განაცხადა თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორმა ნონა თოდუამ.

როგორც ორგანიზატორებმა აღნიშნეს, ოჯახში ძალადობის დანაშაული არ არის ლოკალურად მხოლოდ საქართველოს პრობლემა, საკითხი აქტუალურია ევროპაშიც. შესაბამისად, სეზონური სკოლის ფარგლებში, ოჯახში ჩადენილი დანაშაული საერთაშორისო ასპექტითაც მიმოიხილეს.

„უკანასკნელი დოკუმენტი, რომელმაც ქმედითად მოკიდა ხელი ამ საკითხის დარეგულირებას, ევროსაბჭოს „სტამბულის კონვენციაა“. ამ დოკუმენტში ქალთა მიმართ ძალადობა ადამიანის უფლებათა დარღვევად ჩაიწერა. მისი რატიფიკაცია საქართველოში 2017 წელს მოხდა და შესაბამისი ცვლილებებიც შევიდა სისხლის სამართლის კოდექსში. ნებისმიერ ფორმატში, ოჯახში ძალადობის საკითხის განხილვისას, ნათელი ხდება, რომ მოწყვლად ჯგუფში შედიან ქალები, ბავშვები და მოხუცები. ამიტომ საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესებასთან ერთად მნიშვნელოვანია საგანმანათ-

მაია ივანიძე

ლებლო კამპანიების წარმოება, რაც „სტამბულის კონვენციის“ მონაწილე მხარეებისთვის ისედაც რეკომენდირებულია“, — აღნიშნა იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორმა ირინა ხერხეულიძემ.

„ოჯახში ძალადობა არის ძალიან მძიმე პრობლემა ევროპაშიც. გერმანიაში ყოველი მე-3-4-ე ქალი ოჯახური ძალადობის მსხვერპლია. მსოფლიო მასშტაბით ხდება ამ მიმართულებით ბრძოლა. შესაბამისად არა მხოლოდ სამართლებრივი, სისხლის სამართლებრივი, სამოქალაქო სამართლებრივი მიდგომაა საჭირო, არამედ აუცილებელია საზოგადოების ჩართულობა, მათი აქტიურობა. ქალბატონ მაია ივანიძის პროექტი იმიტომაც არის მნიშვნელოვანი, რომ საზოგადოების ცნობიერებას ამაღლებს“, — განაცხადა იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორმა ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხმა.

სეზონური სკოლის ფარგლებში ჩატარებული ლექციები სტუდენტებმა და სკოლის მოსწავლეებმა პროდუქტიულად შეაფასეს. 182-ე საჯარო სკოლის მოსწავლემ სალომე ვარამიშვილმა აღნიშნა, რომ მისი მოლოდინი გამართლდა, რადგან შეხვდა ადამიანებს, რომლებსაც პრობლემის მოგვარება და საზოგადოების გაუმჯობესება ნამდვილად სურთ. ოჯახში ძალადობის თემაზე გამართულ ღონისძიებებში ახალგაზრდების ჩართულობის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტმა მარიამ ხუროშვილმა: „ასეთი პროექტები საჭიროა საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისთვის, რადგან ისეთ სენსიტიურ საკითხს ეხება, როგორიც ოჯახში ძალადობაა. საკითხი კომპლექსურად განვიხილეთ. გვქონდა საკუთარი აზრის გამოთქმის შესაძლებლობა, გაიმართა საინტერესო დისკუსიები, გავიგეთ ერთმანეთის შეხედულებები, რაც ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია“.

* * *

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში „ოჯახში ძალადობის სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები“ მონაწილეობა ქართველ მეცნიერებთან ერთად უცხოელმა პროფესორებმაც მიიღეს, მათ შორის გახლდათ გერმანიის თუბინგენის უნივერსიტეტის პროფესორი ბერნდ ჰაინრიხი, იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი ედვარდ შრამი და ამავე კათედრის მკვლევარი ასისტენტი ნადია მიულერი. სამეცნიერო კონფერენციას მსმენელის სტატუსით „საზაფხულო სკოლის“ მონაწილეთა შორის შერჩეული სტუდენტები და მოსწავლეებიც ესწრებოდნენ.

„სამეცნიერო კონფერენციაზე უცხოელმა ექსპერტებმა პროექტის შეფასებისას აღნიშნეს, რომ მათ უფრო მეტი ინფორმაცია მიიღეს, ვიდრე ელოდნენ. იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორმა ედვარდ შრამმა განაცხადა, რომ ჩვენს უნივერსიტეტებში სამართლის მიმართულებით თანამშრომლობა ისევე უნდა გაღრმავდეს, როგორც, მაგალითად, კავკასიოლოგიის დარგში. უცხოელმა პროფესორებმა ოჯახში ძალადობის საკითხები პრაქტიკული კუთხით გააანალიზეს და გამოცდილება გაგვიზიარეს. აღსანიშნავია, რომ გერმანიაში ოჯახში ძალადობის საკითხის ცალკე მუხლი არ მოქმედებს და დანაშაული კვალიფიცირდება იმ სხვადასხვა მუხლებით, რაც მოძალადის მიერ ჩადენილი დანაშაულის შესატყვისია. ამ თვალსაზრისით მათთვის საქართველოს გამოცდილება საინტერესო აღმოჩნდა — ჩვენთან დამნაშავეს „ოჯახში მოძალადის“ სახელი ერქმევა და, გარკვეულწილად, სხვა უფრო მძიმე დანაშაულის თავიდან აცილების შესაძლებლობას გვაძლევს. უცხოელი ექსპერტების მოწონება დაიმსახურა პროექტში ახალგაზრდების ჩართულობამაც, რადგან ყველა ვთანხმდებით, რომ ოჯახში ძალადობის პრობლემას საზოგადოების სამართლებრივი თვითშეგნების ამაღლების გზით უნდა ვებრძოლოთ.

იურისტებთან ერთად მოხსენებები სოციოლოგებმა და ფსიქოლოგებმაც წარმოადგინეს. ოჯახში ძალადობის ფსიქოლოგიურ ასპექტებზე ფსიქოლოგმა ნანა ჩაჩუამ ისაუბრა. მონაწილეობდნენ მოსამართლეები ელენე გოგუაძე, ბადრი კოჭლამაზაშვილი და გერონტი კახეთელიძე, რომლებმაც პრაქტიკულ გამოცდილებასთან ერთად თეორიული შეთავაზებებიც წარმოადგინეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს და პროკურატურის წარმომადგენლებმაც პრაქტიკულ ასპექტებზე გაამახვილეს ყურადღება. ოჯახში ძალადობის კრიმინოლოგიურ მხარეზე გოგი ღლონტმა ისაუბრა. მოხსენებები წარმოადგინეს პროფესორებმა ნონა თოდუამ და ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხიმ. პირადად ჩემი მოხსენება კი ოჯახში ძალადობის ისტორიასა და მის პრევენციაში საზოგადოების როლს შეეხებოდა. სამეცნიერო კონფერენციაზე შევიმუშავეთ რეკომენდაციები, რომლებიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსდება“, — განაცხადა პროფესორმა მაია ივანიძემ.

იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის მიმართულების პროფესორები მომდევნო საგანმანათლებლო-სამეცნიერო პროექტს უკვე ბულინგის თემაზე განახორციელებენ. ამ საკითხის მიმართ განსაკუთრებული ინტერესი პროექტში მონაწილე სკოლის მოსწავლეებმა გამოთქვეს. მსგავსი ფორმატის ღონისძიებების უფრო მეტი რაოდენობით გამართვის აუცილებლობაზე შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დირექტორმაც ისაუბრა: „მნიშვნელოვანია, რომ ასეთი ტიპის პროექტები მეტი ინტენსიურობით განხორციელდეს. მოხარულები ვიქნებით, თუ ამ ღონისძიების ორგანიზატორები სხვა პროექტებსაც შემოიტანენ. ჩვენთვის საინტერესოა ამ მიმართულებით მეცნიერებთან თანამშრომლობა“, — აღნიშნა ზვიად გაბისონიამ.

Lingwing.com-ის სერვისით თსუ-ს სტუდენტებს უცხო ენის მაღალ დონეზე სწავლა დაბალ ფასად შეუძლიათ

თამარ დადიანი

სტუდენტებთან თსუ-ის რექტორის გიორგი შარვაშიძის ერთ-ერთი შეხვედრის დროს სტუდენტების მხრიდან გაჟღერდა მოთხოვნა უცხო ენის უფრო ეფექტურად სწავლების თაობაზე. სტუდენტები ქართულენოვანი ლიტერატურის ნაკლებობასაც უჩივიან და ამბობენ, რომ სრულფასოვანი განათლების მიღების საშუალება არ ეძლევათ. მათ, უცხო ენის დაბალ დონეზე ფლობის გამო, უცხოენოვანი სასწავლო სახელმძღვანელოების თარგმნაც ხშირად უჭირთ. თსუ-ის ადმინისტრაციას კარგად ესმის, თუ რაოდენ მტკივნეულია ეს საკითხი სტუდენტებისათვის და ცდილობს — პრობლემა გადაწყვიტოს. თსუ-ში უკვე რამდენიმე წელია სპეციალური პროგრამა მოქმედებს, რომლის მიზანიც თითოეული ფაკულტეტის ქართულ ენაზე თანამედროვე სასწავლო ლიტერატურით უზრუნველყოფაა. ამ ხნის მანძილზე მომზადდა და ქართულად ითარგმნა მსოფლიოს პრესტიჟულ უნივერსიტეტებში აპრობირებული სახელმძღვანელოები. მუშაობა ამ კუთხით დღესაც გრძელდება, მაგრამ, მოგეხსენებათ, სასწავლო ლიტერატურის თარგმნა და მისი გამოცემა ხანგრძლივი პროცესია და მას გარკვეული დრო სჭირდება. ამიტომ, თსუ-ის ადმინისტრაციამ სტუდენტებს, მოთხოვნისამებრ, უცხო ენის ცოდნის გაძლიერებისა და სრულყოფის მიზნით ახალი სერვისი შესთავაზა. მან თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა კომპანიასთან lingwing.com. მემორანდუმის ფარგლებში, მხარეები განათლების სფეროში ინოვაციური პროექტების განვითარებას შეუწყობენ ხელს, ასევე საჯარო ლექციების, ტრენინგების, მასტერკლასების, სხვადასხვა ტიპის კონკურსების ორგანიზებაში მზადყოფნას გამოხატავენ. თსუ-ის სტუდენტებს საშუალება ექნებათ ქართულ პორტალ „ლინგვინგზე“ შეღავათიან ფასად შეისწავლონ უცხო ენები. დღეს ამ კომპანიის მომსახურეობით თსუ-ის სტუდენტების დიდი ნაწილი სარგებლობს, რომლებიც კმაყოფილებას გამოთქვამენ კომპანიის მისამართით და მის აქტიურ მომხმარებლებად რჩებიან.

როგორც თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტმა მარი საბრალოშვილმა აღნიშნა, იგი ძალიან კმაყოფილია საიტის მომსახურეობით, სადაც უცხო ენის შესწავლა რეალურად არის შესაძლებელი. „თსუ-ის ადმინისტრაციას დიდ მადლობას ვუხდი იმ შესაძლებლობისთვის, რაც უცხო ენის შესწავლას ეხება. lingwing.com — ერთადერთი საიტია, რომელიც თსუ-ის სტუდენტებს უცხო ენას ქართული ენის დახმარებით გვასწავლის ეფექტურად და თითქმის სიმბოლურ ფასად“. იგივე აზრი აქვს თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტს ნინო ოვაშვილს, რომელიც უცხო ენას lingwing.com-ის დახმარებით სწავლობს. „ამ საიტით სწავლა სახალისო და საინტერესოა. ის ყველა დონის მომხმარებელზეა გათვლილი და იმედი მაქვს, რომ კურსების გავლის შემდეგ ჩემი ინგლისური სრულყოფილი და დახვეწილი იქნება“.

ვახტანგ ველიაშვილი

***

თუ რას საქმიანობს კომპანია და მომსახურეობის რა ეფექტურ და შეღავათიან სერვის სთავაზობს ის თსუ-ის სტუდენტებს, ამაზე თავად კომპანია lingwing.com-ის დირექტორი ვახტანგ ველიაშვილი გვესაუბრება.

ჩვენ შევქმენით პირველი ქართული უცხო ენების შესასწავლი პლატფორმა lingwing.com. საიტის შექმნის იდეა დავით და ვახტანგ ველიაშვილებს მოგვივიდა, როცა უცხო ენის სწავლა ონლაინ რეჟიმში მოვინდომეთ, მაგრამ ვერც ერთი საიტი ვერ ვნახეთ ისეთი, რომელიც რეალურ შედეგს მოგვცემდა, თანაც არც ერთი საიტი არ ასწავლიდა უცხო ენას ქართული ენის დახმარებით. აქედან გამომდინარე, გადავწყვიტეთ შეგვექმნა პლატფორმა, რომელიც მომხმარებელს და დაინტერესებულ პირს საშუალებას მისცემდა — უცხო ენა მშობლიური ენის დახმარებით ესწავლა, რაც, დამეთანხმებით, უფრო მარტივი და კომფორტულია. ჩვენ მიერ შემუშავებული მეთოდოლოგია ეფექტური აღმოჩნდა და საიტმა (lingwing.com) იმდენად დიდი დაინტერესება გამოიწვია, რომ მომხმარებლების მოთხოვნიდან გამომდინარე, საიტს, ინგლისური ენის გარდა, სხვა ენებიც დავამატეთ. ჩვენი პლატფორმის მიზანია — უცხო ენის შესწავლა გახადოს ყველასთვის ხელმისაწვდომი. რაც მთავარია, ჩვენ შევქმენით ონლაინ სწავლების ეფექტური და საოცრად აზარტული მეთოდი — დაიწყე და დაასრულე სწავლა ერთხელ. Lingwing.com არის თანამედროვე საშუალება, რათა საფუძვლიანად შეისწავლო უცხო ენა და საწყის დონეს თავიდან აღარ დაუბრუნდე. ამ ეტაპზე მომხმარებლებს შეუძლიათ ისარგებლონ საიტით www.lingwing.com ან მობილური აპლიკაციებით Android: https://goo.gl/GCkSIh iOS: https://goo.gl/h40Bmt. ამ საიტით შესაძლოა დაეუფლოთ შემდეგ ენებს: ინგლისურს, გერმანულს, ესპანურს, ფრანგულს, იტალიურს.

— დღეს ამ სახის საიტები ინტერნეტ-სივრცეში მრავლად არსებობს. ზოგი მათგანი პოპულარულია, ზოგი — ნაკლებად. ხშირ შემთხვევაში, მათი ნაწილი ფასიანია, არის უფასოც. დამეთანხმებით, რომ კონკურენცია ძალიან დიდია. რა ეფექტურ მომსახურეობას სთავაზობს თქვენი კომპანია ქართველ მომხმარებელს და რიცხობრივად რამდენია დარეგისტრირებული lingwing.com-ზე?

საიტზე უკვე 130 000-ზე მეტი მომხმარებელია რეგისტრირებული, ხოლო 10 000 ადამიანს სასწავლო კურსები უკვე დასრულებული აქვს. სტანდარტების დაცვით შედგენილი სწავლების მეთოდი სრულყოფილი შედეგის მყარი საფუძველია. სასწავლო პროგრამაც ევროსაბჭოს მიერ დადგენილი დონეების გათვალისწინებით შევადგინეთ, რაც სწრაფი და კარგი შედეგის გარანტიაა. სტანდარტი მოიცავს წერით, სამეტყველო, ლექსიკურ და სმენით კომპონენტებს.

lingwing.com-ზე შევქმენით დავალებებისა და სავარჯიშოების უნიკალური ტიპები, რომლებიც სწავლის პროცესში 100%-ით ჩართულობას უზრუნველყოფს.

როცა lingwing.com-ზე უცხო ენის შესწავლის მარათონში მონაწილეობ, ნახავ, რომ გასავლელი გზა საოცრად კომფორტული და აზარტულია. მიზანი კი, შენ მიერ არჩეულ უცხო ენაზე, თავისუფლად მეტყველება და წერაა. შეგიძლია სწავლის გზას მეგობრებთან ერთადაც გაუყვე — მიადევნო თვალი მათ განვითარებას, შეეჯიბრო და მიიღო ბონუსები საუკეთესო შედეგისთვის. ჩვენი საიტის საქმიანობა განსხვავდება სხვა უცხოური საიტების მუშაობისგან. ზოგადად, შევეცადეთ ონლაინში ენის ბუნებრივი სწავლის მეთოდი შეგვექმნა: ყველა დავალება სრულდება საუბრით ან წერით, რაც არც ერთ სხვა პლატფორმას არ აქვს. ასევე ქართული ენიდან არ არის შესაძლებელი სწავლა ანალოგ პლატფორმებზე. სწავლების მეთოდი სრულიად განსხვავებულია. მასალას იმდენად გასაგებად და ლოგიკურად ვაწვდით მომხმარებელს, რომ არც ერთი კითხვა არ უჩნდებათ კურსის მსვლელობისას, ყველანაირი უნარის ადამიანს შეუძლია ჩვენთან ენის შესწავლა. ხოლო რაც შეეხება სწავლების საფასურს, ის ჩვენთან ყველაზე იაფია. სწავლამოწყურებულს ხშირად იმედი უცრუვდება, როცა სწავლის საფასურს იგებს. ჩვენ ამაზეც ვიზრუნეთ, თითოეული ადამიანის სურვილი და შესაძლებლობა გავითვალისწინეთ. შედეგად, lingwing.com-ზე სწავლა ყველასთვის ხელმისაწვდომია. შეგიძლია აირჩიო უფასო ან ფასიანი პაკეტები და მიიღო შესაბამისი მომსახურება. მომხმარებელი თვეში მხოლოდ 15.90 ლარს იხდის. ამ უპირატესობების გამო საქართველოში უპირობო ლიდერი ვართ!

— რა მიზანს ემსახურება თსუ-სთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმი? რა სახის მომსახურებას და შეღავათებს სთავაზობს ის თსუ-ის სტუდენტებს? რამდენად დიდია სტუდენტების დაინტერესება აღნიშნული სერვისით და თსუ-ის რამდენი სტუდენტი სარგებლობს დღეს საიტის მომსახურეობით?

— ბოლო პერიოდში მართლაც დიდი დაინტერესება იყო სტუდენტების მხრიდან და ამიტომ გადავწყვიტეთ უფრო დიდ მასშტაბზე გასვლა და სტუდენტებისთვის ბევრად კარგი პირობების შეთავაზება. ამიტომ ეს იდეა პირველად თსუ-ის ადმინისტრაციას გავაცანით. შევქმენით საპილოტე ჯგუფი, რომ გაგვეგო — რამდენად მოთხოვნადი იყო სტუდენტების მიერ ჩვენი საიტით სარგებლობა. საპილოტე ჯგუფის შედეგები საოცრად შთამბეჭდავი იყო, სტუდენტები დღეში 4-5 საათი მეცადინეობდნენ და უაღრესად კმაყოფილები იყვნენ, ამიტომ გადაწყდა უკვე მემორანდუმის გაფორმება თსუ-სთან, რაც გულისხმობს, ზოგადად, ონლაინ სწავლების პოპულარიზაციას. მემორანდუმის მიხედვით, თსუ-ის ყველა სტუდენტი ძალიან დაბალ ფასად ისარგებლებს „ლინგვინგის“ პაკეტებით. ყველას ექნება წვდომა იმ 6 ენაზე, რაც ჩვენს საიტზე არის განთავსებული. ასევე შევქმნით წახალისების სისტემას სტუდენტებისთვის, რაც საუკეთესო სტუდენტების გამოვლენას და სხვადასხვა პრიზით მათ დაჯილდოებას გულისხმობს. სტუდენტებს ეძლევათ საშუალება — Lingwing.com-ის სერვისით მესამედ ფასად ისარგებლონ. სტანდარტული 119.9 ლარიანი ერთწლიანი პაკეტი თსუ-ის სტუდენტებისთვის მხოლოდ 39.9 ლარი ღირს. დაინტერესება ძალიან დიდია, დღეში დაახლოებით 5 სტუდენტი გვემატება, რომელიც შეღავათით სარგებლობს. როგორც ხედავთ, თანამშრომლობა ორივე მხარისთვის ძალიან ნაყოფიერი აღმოჩნდა.

— თსუ-სთან თანამშრომლობის რა პერსპექტივებს უნდა ველოდოთ მომავალში?

— ამ ეტაპზე მომხმარებლები უკვე აქტიურად ითხოვენ B დონის ინგლისური ენის კურსის დამატებას და მთელი ენერგია ამ კურსების შექმნისკენ გვაქვს მიმართული. კურსების შექმნა, ზოგადად, ძალიან რთული და შრომატევადი პროცესია, თუმცა იმედი გვაქვს, რომ ახალ კურსს მალე დავასრულებთ. ასევე, ვგეგმავთ უცხოურ ბაზრებზე შესვლას. რაც შეეხება თსუ-სთან თანამშრომლობას, გვინდა უფრო მეტმა სტუდენტმა ისარგებლოს ჩვენი სერვისით, რადგან ამ ეტაპზე „პრემიუმ პაკეტზე“ ძალიან დიდი შეღავათი აქვთ. სამომავლოდ, ალბათ, ასეთი ფასდაკლება აღარ იქნება. თსუ-სთან თანამშრომლობა გვინდა უფრო მჭიდრო და მრავალმხრივი გახდეს.

რთულ გზასთან ჭიდილში დაბადებული თარგმანი

ნატო ობოლაძე

თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სასწავლო დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი ასმათ გზობავა ადმინისტრაციაში მუშაობის პარალელურად მთარგმნელობით საქმიანობასაც ეწევა. მძიმე სენთან ბრძოლის მიუხედავად, სენს არ ნებდება და XX საუკუნის იტალიელი ბელეტრისტის ალბერტო მორავიას მოთხრობებს ქართულ ენაზე თარგმნის. ალბერტო მორავიას შემოქმედების გმირები მუშები, ხელოსნები, გლეხები, წვრილი მოხელეები და ვაჭრები, სატვირთო მანქანის მძღოლები, რესტორნის ოფიციანტები და ფოტოგრაფები არიან. ასმათ გზობავამ ქართულ ენაზე იტალიელი ბელეტრისტის მოთხრობა — „ქურდები ეკლესიაში“ გამოსცა.

„ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენების ინსტიტუტი გერმანული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით დავამთავრე. იტალიურ ენას „მეორე ენის“ სტატუსით ვსწავლობდი. გარკვეული პერიოდის განმავლობაში იტალიურს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული და ჟურნალისტიკის მიმართულებების სტუდენტებს ვასწავლიდი. მორავიას მოთხრობებიც სასწავლო პროგრამით იყო გათვალისწინებული. ბოლო წლებში ჩემში მხატვრული თარგმანის სურვილმა გაიღვიძა და გადაწყვიტე რამდენიმე მოთხრობა მეთარგმნა. ეს პროცესი ჩემთვის სასიამოვნოა და სტუდენტებთან ურთიერთობის სურვილსაც მიღვიძებს. მოთხრობის („ქურდები ეკლესიაში“) გამოცემაში ჩემი ექიმები დამეხმარნენ, მოულოდნელი საჩუქარი გამიკეთეს, რაც ჩემთვის დიდი სტიმულია“, — ამბობს ასმათ გზობავა.

ასმათ გზობავას მოთხრობის — „ქურდები ეკლესიაში“ — თარგმანის გამოცემა იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა თამარ ზარანდიამ მიულოცა.

„ქალბატონი ასმათი გამორჩეული პიროვნული თვისებების მქონე, საოცრად მშრომელი, მოწესრიგებული და კეთილსინდისიერი ადამიანია. იგი მთელი ფაკულტეტის სიყვარულით სარგებლობს. განსაკუთრებული პიროვნებაა, რადგან მან შეძლო შებრძოლებოდა ძლიერ სენს და გაეგრძელებინა საქმიანობა. აღსანიშნავია, რომ მისი თარგმანი, რომელიც მისი სამკურნალო დაწესებულების ექიმების მხარდაჭერით გამოვიდა, ძალიან კარგი მაგალითია იმისა, რომ თუ საკუთარი საქმე და უნივერსიტეტი გიყვარს, ყველანაირი სირთულის დამარცხებას შეძლებ. მთელი ფაკულტეტის სახელით ვულოცავთ მას თარგმანის გამოცემას, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობასა და მხნეობას.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო შპს „არენსია ექსპლორატორი მედისინ“-ს, რომელმაც ქალბატონი ასმათის თარგმანის გამოცემა უზრუნველყო.

სამყაროს სიკეთე მართავს,“ — აღნიშნა თამარ ზარანდიამ.

ასმათ გზობავა იურიდიულ ფაკულტეტზე თითქმის 40 წელია მუშაობს.

თამაზ ბაძაღუას საიუბილეო საღამო

შურთხია ბეროშვილი

„პოეტი, რომელმაც დროს გაუსწრო და თავისი ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა ქართული მწერლობის ისტორიაში“ — ასე ახასიათებენ ლიტერატურათმცოდნეები 80-იანელთა გამორჩეულ პოეტს, დრამატურგსა და მთარგმნელს თამაზ ბაძაღუას, რომელიც 28 წლის ასაკში ტრაგიკულად გარდაიცვალა. წელს მას 60 წელი შეუსრულდებოდა. მისი საიუბილეო საღამო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მრავალი თაობისთვის საყვარელ „93-ე აუდიტორიაში“ გაიმართა. შეხვედრას თსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძე, პოეტის მეგობრები და სტუდენტები დაესწრნენ. ღონისძიებაზე პოეტის მიერ ნათარგმნი აღორძინების ხანის ცნობილი იტალიელი პოეტის ტორკვატო ტასოს დრამატული ნაწარმოების — „ამინტა“ პრეზენტაცია გაიმართა.

„დღეს, როდესაც თამაზ ბაძაღუას პიროვნებასა და შემოქმედებაზე ვსაუბრობთ, ჩემთვის მნიშვნელოვანი და უმთავრესი ის არის, რომ მას ვიხსენებთ არა როგორც მხოლოდ ჩვენს მეგობარს, არამედ მწერალს, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია ქართული ლიტერატურის ისტორია. იგი თავის ლექსებსა და თარგმანებში აგრძელებს სიცოცხლეს. სასიამოვნოა, რომ თამაზ ბაძაღუა ახალგაზრდებში ძალიან პოპულარულია, მის ლექსებს დღესაც კითხულობენ, მოსწონთ... შეიძლება ითქვას, რომ მან საკუთარი სტილი დაამკვიდრა პოეზიაში. მისმა თარგმანებმა თავის დროზე დიდი ინტერესი გამოიწვია. აღსანიშნავია მისი მოღვაწეობა დრამატურგიაში. იგი კვლავ ცოცხალი მონაწილეა ჩვენი დღევანდელი ლიტერატურული პროცესის. ყოველთვის, როდესაც პოეტის ხსოვნის საღამო ტარდება, კოლეგები და მეგობრები ვცდილობთ, მისი ახალი წიგნით წარვდგეთ მკითხველის წინაშე. ტრადიცია არც ახლა დავარღვიეთ და წარმოვადგინეთ ტორკვატო ტასოს დრამატული პიესა „ამინტა“, რომელიც დიდი ხანია ელოდა დღის შუქს. ეს არის აღორძინების ხანის პოეტის ნაწარმოები, საკმაოდ რთული სათარგმნელი — თამაზ ბაძაღუამ ამ ამოცანას თავი შესანიშნავად გაართვა“, — აღნიშნა როსტომ ჩხეიძემ.

საიუბილეო საღამოზე დამსწრე საზოგადოებას თსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძე მიესალმა: „დღევანდელი დღე ძალიან ნიჭიერ პოეტს ეძღვნება. იგი თავისი თაობის გამორჩეული წარმომადგენელი, უნიჭიერესი მთარგმნელი და კარგი პოეტი იყო. სამწუხაროდ, ადრე წავიდა ამ ქვეყნიდან. საინტერესოა ბოლო მისი თარგმანი, რომლის პრეზენტაციაც დღეს შედგა. მისმა ნაადრევმა გარდაცვალებამ ბევრ თაობას დასწყვიტა გული“, — აღნიშნა გიორგი შარვაშიძემ.

საიუბილეო საღამოს სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ხელმძღვანელი გიორგი ალიბეგაშვილი დაესწრო, რომელმაც პოეტის შემოქმედებაზე ისაუბრა: „თამაზ ბაძაღუა იმ შემოქმედთა თაობას ეკუთვნოდა, რომელიც 80-იან წლებში მოვიდა ქართულ მწერლობაში. იგი მართლაც ღირსეული წარმომადგენელი იყო თავისი წინამორბედების. ერთი პერიოდი გვეგონა, რომ იგი მხოლოდ და მხოლოდ კარგი პოეტი იყო, მაგრამ მას თარგმნაც ხელეწიფებოდა, შესანიშნავად თარგმნა იტალიური კლასიკოსების, რენესანსის ეპოქის მწერალთა ნაწარმოებები. ხანდახან გვეჩვენება, რომ ტკივილი დროსთან ერთად თითქოს ყუჩდება, მაგრამ რაც დრო გადის, მისი დაკარგვით გამოწვეული სევდა გვიძლიერდება“, — აღნიშნა გიორგი ალიბეგაშვილმა.

კრიტიკოსმა და ლიტერატურათმცოდნე ანდრო ბუაჩიძემ თამაზ ბაძაღუას ახლად გამოცემულ წიგნზე ისაუბრა. „ეს თარგმანი დიდხანს ინახებოდა ჩემს უჯრაში. არაერთხელ გადამიფურცლავს და წამიკითხავს. ვგრძნობდი, რომ „ამინტა“ გამოირჩეოდა თამაზის სხვა თარგმანებისგან. აქ მისმა პოეტურმა ნიჭმა და ოსტატობამ სრულად გამორჩეული ასპარეზი ჰპოვა. არაერთხელ შევთავაზე ლიტერატურული ჟურნალების რედაქტორებს ამ ნაწერების გამოქვეყნება, მაგრამ მოცულობის გამო ერთ რომელიმე ნომერში მისი ჩატევა არ ხერხდებოდა. და, აი, ახლახან გამოქვეყნდა პასტორალი ფართოფორმატიან ჟურნალ „საგურამოში“ და ჩემთვის კიდევ ერთხელ შეიქნა ცხადი, რომ ეს თარგმანი რიგითი ლიტერატურული ფაქტი არ იყო. გამოქვეყნება ხომ თვალნათლივ წარმოაჩენს ნაწარმოებს“, — აღნიშნა ანდრო ბუაჩიძემ.

შეხვედრას ესწრებოდა პოეტის ნათესავი მალხაზ ბაძაღუა, რომელიც დღემდე უვლის თამაზ ბაძაღუას შემოქმედებას; ესწრებოდნენ, ასევე, სტუდენტები, რომლებმაც პოეტის შემოქმედებიდან საყვარელი ლექსები წაიკითხეს. მნიშვნელოვანია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მის შემოქმედებაზე იქმნება საბაკალავრო ნაშრომები. „თამაზ ბაძაღუა უდიდესი ნიჭის პოეტია, მისი ნებისმიერი ლექსი დიდ ემოციას იწვევს. ჩემი საბაკალავრო ნაშრომი მისი პოეზიის განხილვას შეეხება, რაც ძალიან საინტერესო, ამავე დროს, საპასუხისმგებლო საქმეა. მიხარია, რომ ჩემს თაობას განსაკუთრებით უყვარს მისი პოეზია“, — განაცხადა თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტმა ლიკა ჭანუკვაძემ.

* * *

თამაზ ბაძაღუა 1959 წელს დაიბადა. 1975 წელს ჩააბარა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. 1980 წელს დაამთავრა უნივერსიტეტი. დაწერა სადიპლომო ნაშრომი ოთარ ჭილაძის რომანზე „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“, ამავე წელს დაიწყო მუშაობა მხატვრული თარგმანის მთავარ სარედაქციო კოლეგიაში. მისი პირველი ლექსები დაიბეჭდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალმანახ „პირველ სხივში“. 1982 წელს გამოსცა პირველი წიგნი — „მესამე ზარი“. 1985 წელს გამომცემლობა „განათლებამ“ გამოსცა მის მიერ თარგმნილი ჯაკომო ლეოპარდის ლექსები. ნათარგმნი აქვს პიერ პაოლო პაზოლინის, მიქელანჯელო ბუონაროტის, გიიომ აპოლინერისა და რაინერ მარია რილკეს ლექსები. თამაზ ბაძაღუა მუშაობდა დრამატურგიაშიც, იყო ახალგაზრდა დრამატურგთა ბიჭვინთის სემინარის უცვლელი წევრი. მისი პიესები იდგმებოდა რუსთავის, თბილისის სანდრო ახმეტელის სახელობის, ერთი მსახიობის თეატრებში. 1987 წელს 5 ნოემბერს თამაზ ბაძაღუა ოჯახთან ერთად ტრაგიკულად დაიღუპა.

ᲙᲕᲚᲔᲕᲐ

რბილი სამართლის გავლენა კორპორაციული მართვის ეფექტიანობაზე

თამარ დადიანი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილეს მიეძღვნა კიდევ ერთი ნაშრომი — „რბილი სამართლის გავლენა კორპორაციული მართვის ეფექტიანობაზე“, რომელიც თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტისა და იურიდიული ფაკულტეტის პროფესორთა ერთობლივი ნაშრომია. წიგნის ავტორები არიან: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტიდან — პროფესორი თეიმურაზ ბერიძე, ასოცირებული პროფესორები: დავით სიხარულიძე, ვასილ კიკუტაძე და უფროსი სპეციალისტი ნინო ლობჟანიძე; იურიდიული ფაკულტეტიდან — პროფესორი ირაკლი ბურდული, ასისტენტ-პროფესორი გიორგი მახარობლიშვილი და ანა ხარაიშვილი. მონოგრაფიის სტრუქტურა შემდეგნაირია: კორპორაციული მართვის დოგმატურ-თეორიული საფუძვლები, კორპორაციული მართვა ევროპის კავშირის კორპორაციულ სამართალში, კვლევის მეთოდოლოგია და კვლევის შედეგები.



კორპორაციული მართვის მაფორმირებელი სტრუქტურა შედგება ეკონომიკური და სამართლებრივი ელემენტებისაგან, რაც საკორპორაციო სამართლის წიაღში აღმოცენებული სამართლის დამოუკიდებელი დარგია, რომელსაც კორპორაციული მართვის სამართალი ანუ კორპორაციული მართვა ეწოდება. კორპორაციული მართვის ეფექტიანობაზე გავლენას ახდენს როგორც ეკონომიკური, ასევე სამართლებრივი რეალიები. აღნიშნული გამოკვლევა კარგად წარმოაჩენს ამ ორი სეგმენტის ურთიერთმიმართებას და ქმნის კორპორაციული მართვის ეფექტიანობაზე ორიენტირებულ ნაშრომს. ავტორების აზრით, ნებისმიერ კონგლომერატს, იქნება ეს სახელმწიფო თუ დიდი კერძო კორპორაცია, ესაჭიროება რაციონალურად ჩამოყალიბებული მართვის სისტემა, რომელიც, ნაწილობრივ, სახელმწიფოს ჩარევით, ნაწილობრივ, თვითრეგულირებადი ნორმების აღიარებითა და მათი შესრულებით უზრუნველყოფს სამეწარმეო საზოგადოების საქმიანობის ეფექტიანად წარმართვას. მხოლოდ რაციონალური კონტროლისა და დაბალანსებული მმართველობის პირობებშია შესაძლებელი მდგრადი ეკონომიკური განვითარება. კაპიტალის გაერთიანების საფუძველზე შექმნილი საზოგადოების სამართალი სხვა არაფერია, თუ არა საწარმოს ეფექტიანი კონტროლის დამდგენი სამართალი, რომელმაც კაპიტალის სწორი და რაციონალური გამოყენება უნდა უზრუნველყოს. ეს პარადიგმაა განვითარებული ეკონომიკურ მეცნიერებაშიც. აღსანიშნავია ორგანიზაციული ეკონომიკის მნიშვნელობა, რომელიც დღეისათვის ნეოინსტიტუციონალური ანალიზის შედარებით ახალი მიმართულებაა. კორპორაციული მართვის ორი ძირითადი სისტემა არსებობს: მონისტური და დუალისტური. მონისტური ბრიტანულია და აშშ-ის კორპორაციებისათვის არის დამახასიათებელი, ხოლო დუალისტური — ევროპის ქვეყნებისათვის. ინსპირაციის საფუძველს მართვის ორსაფეხურიან სისტემაში გერმანული სამართალი წარმოადგენს.

აღნიშნულთან ერთად მნიშვნელოვანია მართვის კულტურა და, საერთოდ, ფასეულობები, რაც სცდება წმინდა ეკონომიკურ და სამართლებრივ ასპექტებს, მაგრამ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კორპორაციების მართვაზე. ავტორების აზრით, აუცილებელია საკუთრების და კონტროლის გამიჯვნა, ხაზგასმულია, რომ საკუთრება იურისტის თვალით (მიდგომით) შედარებით მარტივი კონსტრუქციაა — ვის რა ეკუთვნის (ბუნებრივია, გაფორმებული სამართლებრივად), ხოლო ეკონომისტის თვალთახედვით — რა შედეგი მოაქვს (თანაც არა მხოლოდ პროდუქციის სახით) ამა თუ იმ ქონების ფლობას. ეს ყველაფერი აისახება კორპორაციული ფინანსების ეფექტიანობაზე.

ნაშრომში განხილულია რბილი სამართლის (სარეკომენდაციო ნორმები) გავლენა კორპორაციული მართვის ეფექტიანობაზე, მათ შორის, ყურადღება გამახვილებულია გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში დემოკრატიზმის ელემენტების გაძლიერებაზე, რაც რბილი სამართლის მნიშვნელოვანი კომპონენტია.

საქართველოსთვის, თანამედროვე ეტაპზე, განსაკუთრებული მნიშვნელობა (ჩვენი განვითარების ვექტორიდან გამომდინარე) აქვს ისეთ პოლიტეკონომიურ საკითხს, როგორიცაა კორპორაციული მართვა ევროპის კავშირის კორპორაციულ სამართალში. ნაშრომში განხილულია აქციონერთა, ინვესტორთა, მენეჯერების, დირექტორების უფლებების საკითხები ევროკავშირის ქვეყნების თვალთახედვით.

მოცემული მონოგრაფია საქართველოში საბანკო სექტორში მოქმედი კორპორაციების (კერძოდ — 6 ბანკის) ემპირიულ კვლევას შეიცავს. კორპორაციული მართვის ეფექტიანობის მსგავსი ინტერდისციპლინური მეცნიერული მიდგომით კვლევა საქართველოში ამ დრომდე არ ყოფილა შესრულებული, ამიტომ ნაშრომის შინაარსობრივი პარადიგმა ქართული რეალობის განსაკუთრებულ გამოვლინებად შეიძლება აღვიქვათ.

„სევილ“ – ფილმი ოჯახურ ძალადობაზე

ნინო გელოვანი: არ მსურდა დაღდასმული პერსონაჟის ჩვენება, სევილი სამაგალითო ადამიანია

ნატო ობოლაძე

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ტელე-კინო ხელოვნების მიმართულების ასისტენტ-პროფესორის ნინო გელოვანის ფილმი „სევილ“ 3 წუთიანი ფილმების კონკურსის ფინალში გავიდა. კონკურსი პროექტის „ევროკავშირი გენდერული თანასწორობის უწყებათშორისი კომისიიის მხარდასაჭერად“ და რადიო „თავისუფლების“ ერთობლივი ორგანიზებით ჩატარდა. კონკურსზე წარდგენილი ნამუშევრები გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის კუთხით საზოგადოების მხარდაჭერის გაძლიერების მიზნით გაიმართა.

ნინო გელოვანის ფილმში „სევილ“ თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტის სევილ ომაროვას ისტორიაა მოთხრობილი. ფილმში მოქმედება დინამიურად ვითარდება, მარტივად აღქმადია. რეჟისორმა მხატვრული მხარის გასაძლიერებლად პლასტელინის მინიატურები გამოიყენა. 3 წუთში მოთხრობილი ერთი ადამიანის ისტორია მაყურებელზე ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ რეჟისორმა ფილმის შესაქმნელად უბრალოდ პერსონაჟი კი არა, გმირი იპოვა — ქალი, რომელმაც დაიცვა საკუთარი უფლებები და სხვებისთვის მისაბაძი მაგალითი გახდა.

სევილ ომაროვა

„ამ პროექტზე ფილმის რეჟისორისგან შევიტყვე. ეს საკითხი პირდაპირ მე მეხებოდა, ამიტომაც მონაწილეობის მიღებაზე დავთანხმდი. დავაღწიე თავი ოჯახური ძალადობის სიტუაციას და მინდა, იმ ადამიანებისთვისაც მისაბაძი გავხდე, რომლებიც ჯერ კიდევ მძიმე ვითარებაში არიან. მე მათ ვეუბნები, რომ შესაძლებელია გათავისუფლება. ქალთა მიმართ ძალადობა მსოფლიოს მასშტაბით აქტუალური პრობლემაა. ვფიქრობ, ძალადობის მსხვერპლ ქალებს დამოუკიდებელი ცხოვრების დასაწყებად ხელს სხვაზე დამოკიდებულების ფაქტორი უშლით, არ არიან რეალიზებულები. დღეს ისედაც რთულია სამსახურის დაწყება და, როდესაც პროფესია არ აქვთ, უფრო ურთულდებათ გადაწყვეტილების მიღება. თუ კიდევ იქნება მსგავსი პროექტები, აუცილებლად მივიღებ მონაწილეობას, უკან არ დავიხევ“, — ამბობს თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი სევილ ომაროვა.

მიუხედავად იმისა, რომ ნაადრევ ასაკში მოუწია ოჯახის შექმნა, სევილმა საკუთარი საქმე მალევე იპოვა. ბავშვობიდანვე იტაცებდა დიზაინერის პროფესია... ჯერ თავისთვის და შვილებისთვის კერავდა, შემდეგ კი შეკვეთების მიღებაც დაიწყო. მეუღლესთან დაშორების პროცესში ადვოკატების საქმიანობას გაეცნო და იურისპუდენციით დაინტერესდა. სახელმწიფო ადვოკატთა ბიუროში თარჯიმნად მუშაობის იდეა მიაწოდეს, რადგან უცხო ენებსაც კარგად ფლობდა. ახლა უკვე რამდენიმე სახელმწიფო სტრუქტურასთან თანამშრომლობს. თარგმნის აზერბაიჯანულ, თურქულ და რუსულ ენებზე. პარალელურად თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის III კურსის სტუდენტია. გადაწყვეტილი აქვს — კარიერა პროკურატურის უწყებაში განაგრძოს. რეჟისორი ნინო გელოვანი სწორედ სევილის მიზანდასახულობამ და ხასიათის სიმტკიცემ აღაფრთოვანა.

ნინო გელოვანი

„საქართველოში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან 1+4 პროგრამის ფარგლებში რამდენიმე წელია ვთანამშრომლობ. ზოგადად, ქალთა უფლებების თემა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ამიტომაც გადავწყვიტე ამ საკითხზე ფილმის გადაღება. სევილთან შეხვედრას კი რეჟისორისთვის გამართლებას დავარქმევდი. მასთან შეხვედრისას პირველი დიდი შთაბეჭდილება მოახდიანა იმან, რომ ქართულად არაჩვეულებრივად მესაუბრა. საუბრობდა გულწრფელად, ყოველგვარი სიყალბის გარეშე. ყველაფერმა მის ცხოვრებაში დრამატურგიულად ჩაიარა, თუმცა მან შეძლო სირთულეებისთვის თავის დაღწევა. სევილში განსაკუთრებით ვაფასებ მის ერთგულებას შვილებისა და მშობლების მიმართ. პირადად ვნახე, თუ როგორი კეთილშობილური ურთიერთობა აქვს მათთან, ვნახე როგორი მებრძოლი, თავმოყვარე და პრინციპული ადამიანია. მარტოხელა დედაა, მაგრამ ორ-სამ კაცსაც სჯობია თავისი საქმიანობითა და მიზანდასახულობით. შესაბამისად, არ მსურდა დაღდასმული პერსონაჟის ჩვენება, სევილი სამაგალითო ადამიანია. ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემა კრებსითი ხასიათისაა, ამიტომაც გამოვიყენე პლასტელინის მინიატურული ფიგურები. ფილმი რუსთავში, ფალიაშვილის სკვერში გადავიღეთ.

მინდა, ყველა იმ ადამიანს მადლობა ვუთხრა, ვინც გულთან ახლოს მიიტანა სევილის ისტორია და საშუალება მისცა — მას საკუთარი შესაძლებლობები განეხორციელებინა. განსაკუთრებული მადლობა კი ეკუთვნის იურიდიული ფაკულტეტის დეკანს, ქალბატონ თამარ ზარანდიას, რომელმაც სევილს მომავალ წელს საქართველოს პროკურატურაში სტაჟირების გავლის შესაძლებლობა მისცა“, — განაცხადა ფილმის რეჟისორმა ნინო გელოვანმა.

ფილმი „სევილ“ ამ დროისთვის რამდენიმე საერთაშორისო კინოფესტივალზეა წარდგენილი და ოფიციალური შერჩევა გაიარა დიდი ბრიტანეთისა და ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის ფესტივალებზე. ფილმის ჩვენება კაჭრეთში გამართულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზეც — „ოჯახში ძალადობის სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები“ — გაიმართა.

ახალი წიგნი თაროზე

უნივერსიტეტი საუკუნეთა მიჯნაზე

უნივერსიტეტის ასწლოვანი ისტორიის მანძილზე არა ერთი წიგნი თუ მონოგრაფია არის გამოსული, რომლებშიც გაშუქებულია უნივერსიტეტის მდიდარი ისტორია. მათ შორის განსაკუთრებით გამოსაყოფია პროფესორ (აკადემიკოს) სერგო ჯორბენაძის წიგნები: „უნივერსიტეტის მოკლე ისტორია“ და „ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა“. ეს წიგნები მოგვითხრობენ უნივერსიტეტის შესახებ მისი დაფუძნებიდან 1980-იან წლებამდე. უნივერსიტეტის ცხოვრების შემდგომ ეტაპს მიეძღვნა მისი დაარსებიდან 80 წლისთავთან დაკავშირებული საიუბილეო კრებული „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1918-1998 წწ“. (თსუ-ის გამომცემლობა, რედ. როინ მეტრეველი). ამ წიგნებში თანმიმდევრულადაა მოთხრობილი კავკასიაში პირველი ეროვნული განათლების კერის დაფუძნებიდან მოყოლებული მთელი 80 წლის მანძილზე გავლილი გზა, რომელიც ხშირად ტრაგედიებითაც კი იყო აღსავსე. მიუხედავად ყველაფრისა, უნივერსიტეტმა მე-20 საუკუნის შუა წლებში უდიდეს აღმავლობას მიაღწია, ჩადგა მაშინდელი მსოფლიოს მოწინავე უნივერსიტეტების რიგებში როგორც განათლების დონით, ასევე, რაც მთავარია, სამეცნიერო მიღწევებით. გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი სამეცნიერო სკოლა, როგორიც იყო

ქართველოლოგიის, ენათმეცნიერების, მათემატიკის, ფიზიკის, ფსიქოლოგიის, ისტორიის, ფილოსოფიის, ფიზიოლოგიის და სხვ.

უნივერსიტეტი დიდი მიღწევებით შეხვდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდს. და, აი, დადგა ახალი პერიოდი — საქართველოს დამოუკიდებლობა. უნდა აღინიშნოს, რომ 90-იანი წლები უნივერსიტეტისთვის, ისევე, როგორც მთელი საქართველოსთვის, იყო უმძიმესი წლები ახალ პირობებში საკუთარი გეზის ასარჩევად. ამ პერიოდში უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ განახორციელა რიგი პრინციპული გარდაქმნებისა, როგორიც იყო მრავალსაფეხურიანი სწავლების სისტემის შემოღება (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, ასპირანტურა). ამან პრაქტიკულად განსაზღვრა უნივერსიტეტის მომავალი. უნივერსიტეტი გადარჩა, შეინარჩუნა და განავითარა როგორც განათლების, ისე მეცნიერების მაღალი დონე და პირნათელი შეხვდა ახალ საუკუნეს. ისიც უნდა ითქვას, რომ ახალი საუკუნის დასაწყისში გატარებულმა უმაღლესი განათლების რეფორმამ საგრძნობლად დასწია ქვემოთ უნივერსიტეტი, მისი პრესტიჟი, სწავლების პროცესი, მეცნიერება.

სწორედ უნივერსიტეტის პრობლემებს მიუძღვნეს საიუბილეო წიგნი — „უნივერსიტეტი საუკუნეთა მიჯნაზე“ 90-იან წლებში უნივერსიტეტის ხელმძღვანელობაში მომუშავე პიროვნებებმა: ე. კოპალიანმა, პ. მარგველაშვილმა, ნ. სხირტლაძემ, ა. ხელაშვილმა, თ. ხუროძემ.

წიგნი გამოვიდა უნივერსიტეტის დაარსების საიუბილეო დღეს, 2018 წლის 8 თებერვალს, რომელიც გამომცემლობა „მერიდიანში“ დაიბეჭდა და გავრცელდა ბიბლიოთეკებში. წიგნის რედაქტორია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ანზორ ხელაშვილი.

წიგნში დეტალურად და მაქსიმალური სიზუსტით არის გადმოცემული უნივერსიტეტის მიერ გავლილი გარდამავალი პერიოდი, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო დამოუკიდებელი განათლების სისტემის რაიმე გზამკვლევი, გარდა ივანე ჯავახიშვილის შეხედულებებისა მის მიერ დაარსებული უმაღლესი სასწავლებლის ფუნქციის შესახებ. მასში მოთხრობილია, თუ როგორ გაართვა უნივერსიტეტმა თავი მთელ რიგ სიძნელეებს, როგორ განავითარა განათლების და მეცნიერების დონე, როგორ დაუახლოვდა ორგანიზაციულად დასავლეთ ევროპის წამყვან უნივერსიტეტებს...

ავტორთა კოლექტივი უნივერსიტეტის ირგვლივ განვითარებული პროცესების გადმოცემისას შეეცადა ყოფილიყო მაქსიმალურად გულწრფელი და ობიექტური ამ ურთულესი პერიოდის აღწერასა და შეფასებაში. იმედია, რომ დღევანდელი და მომავალი მკითხველისათვის საინტერესო იქნება პირველი ქართული უნივერსიტეტის აღნიშნული პერიოდის ისტორიის ფურცლები.

კორნელი კეკელიძის სამეცნიერო მემკვიდრეობის ამსახველი ფოტომასალა გამოიფინა

შერთხია ბეროშვილი

უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებლის, მეცნიერის, საზოგადო მოღვაწის, აკადემიკოს კორნელი კეკელიძის დაბადებიდან 140 წლის იუბილე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში სხვადასხვა ღონისძიებით აღინიშნა, რომელიც 14 მაისს თსუ-ის მუზეუმის საგამოფენო დარბაზში დასრულდა, სადაც კორნელი კეკელიძის სამეცნიერო მემკვიდრეობის ამსახველი ფოტომასალა გამოიფინა.

კორნელი კეკელიძის, როგორც მეცნიერის და საზოგადო მოღვაწის, ღვაწლსა და დამსახურებაზე თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ, თსუ-ის მუზეუმის ხელმძღვანელმა მაია გურაბანიძემ, თსუ-ის პროფესორმა ელგუჯა ხინთიბიძემ, თსუ-ის მუზეუმის უფროსმა სპეციალისტმა სანდრო მარუაშვილმა და აკადემიკოსმა მზექალა შანიძემ ისაუბრეს.

„კორნელი კეკელიძის ღვაწლი, გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ განუზომელია უნივერსიტეტის დაარსების საქმეში. მისასალმებელია, რომ წელს განსაკუთრებულად აღინიშნა მეცნიერის იუბილე, კონფერენციები გაიმართა მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც მეცნიერებმა საინტერესო მოხსენებები წაიკითხეს. სწორედ კორნელი კეკელიძის სახელს უკავშირდება მეცნიერების დარგის ქართული ლიტერატურის ისტორიის შექმნა. მან თავიდანვე განსაზღვრა ძველი ქართული ლიტერატურის შესწავლის დიდი მნიშვნელობა, როგორც ქართული კულტურის ისტორიაში, ისე მსოფლიო კულტურის ისტორიის თვალსაზრისით. მას დიდი შანსი ჰქონდა კიევის სასულიერო აკადემიაში დარჩენილიყო, მაგრამ იგი საქართველოში დაბრუნდა და არჩევანი უნივერსიტეტის სასარგებლოდ გააკეთა. მისასალმებელია ის ფაქტიც, რომ ხელნაწერთა ცენტრს მისი სახელი დაუბრუნდა“, — აღნიშნა გიორგი შარვაშიძემ.

აკადემიკოსმა მზექალა შანიძემ ბევრი საინტერესო დეტალი გაიხსენა მეცნიერის ცხოვრებიდან: „მე ერთერთი მათგანი ვარ, ვინც მას იცნობდა, იგი მამას მეგობარი იყო და ჩვენს ოჯახთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა. წიგნს, რომელიც მან მამას მიუძღვნა, აწერია: „ჩემს ძმას, აკაკის“...

კორნელი კეკელიძის სახელი ყველასთვის მნიშვნელოვანი უნდა იყოს, რადგან იგი თანამედროვე მეცნიერების საფუძვლისა და საძირკვლის ერთ-ერთი ჩამყრელი იყო. მოგეხსენებათ, XIX საუკუნის მეორე ნახევარში ილია ჭავჭავაძის მეთაურობით განვითარდა ინტერესი საქართველოს ისტორიისადმი, ქართული ენისადმი, ჩამოყალიბდა სხვადასხვა ორგანიზაციები თუ საზოგადოებები, წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, საეკლესიო მუზეუმი და სხვა, მაგრამ ეს ყველაფერი ჯერ კიდევ სისტემაში არ იყო მოყვანილი, თუმცა არსებობდა დიმიტრი ბაქრაძის გამოკვლევები, ექვთიმე თაყაიშვილის შესანიშნავი ხელნაწერთა აღწერილობები, მაგრამ როდესაც თბილისის უნივერსიტეტი ჩამოყალიბდა, აქტიურად დაიწყო სისტემური შესწავლა ქართული ისტორიისა, ქართული ენისა და ქართული მწერლობისა, რაც კორნელი კეკელიძის დიდი დამსახურებაა. ქართული მწერლობა ნამდვილი „ყამირი“ იყო, რომელიც სწორედ კორნელი კეკელიძემ გატეხა. მას სამეცნიერო მუშაობისადმი ინტერესი ჯერ კიდევ მაშინ გაუჩნდა, როდესაც სასულიერო პირი იყო, მოაგროვა და შეისწავლა ქართული ლიტურგიკული ხელნაწერები, მისი გამოკვლევა რუსულ ენაზე დაიბეჭდა და სამეცნიერო საზოგადოებას იმ დრომდე სრულიად უცნობი მასალა გააცნო. უნივერსიტეტის ჩამოყალიბების შემდეგ და მანამდეც, კორნელი კეკელიძემ უზარმაზარი სამუშაო შეასრულა. ვინც იცნობს მისი „ძველი ქართული მწერლობის ისტორიას“, რომელიც პირველად 1923 წელს გამოიცა, დაინახავს, რომ უკვე სისტემატიზირებულია ძველი ქართული მწერლობა, გამოყოფილია მისი ძირითადი დარგები, ნაჩვენებია მათი ჩასახვა და განვითარება, ჩანს, თუ რა ურთიერთობა გვქონდა იმდროინდელ კულტურულ სამყაროსთან, ასევე, ის ძველი ქართული ძეგლები, რომელთა დედნებიც ბერძნულ ენაზე, სამწუხაროდ, დაკარგულია და რომელთა აღდგენა დღეს მხოლოდ ქართული მასალების საშუალებით არის შესაძლებელი. კორნელი კეკელიძის სიცოცხლეში და მისი გარდაცვალების შემდეგაც, მის მიერ დაწყებული სისტემატიზირებული კვლევა ჯერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, შემდეგ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში გაგრძელდა. მეცნიერება წინ მიდის, დღეს ჩვენ ბევრი ისეთი რამ ვიცით, რაც კორნელი კეკელიძის, ივანე ჯავახიშვილის, აკაკი შანიძის მოღვაწეობის დროს უცნობი იყო - არქიტექტურული და ისტორიული ძეგლები, ასევე მწერლობის ძეგლები. ჩვენ ვალდებულნი ვართ, გვახსოვდეს და არ დავივიწყოთ ფუძემდებლები, ისინი, ვინც საძირკველი ჩაუყარეს ამ საქმეს. დიდი თეოლოგი და მთარგმნელი ეფრემ მცირე, რომელიც, ამავე დროს, დიდი მეცნიერიც იყო, ამბობდა: „მე რასაც ვაკეთებ, საძირკველსა ზედა მტკიცესა ვაშენებო“, — ჩვენ ასეთი პოზიცია უნდა გვქონდეს ამ მეცნიერთა მიმართ. დღევანდელი მეცნიერება იმის გაგრძელებაა, რომელსაც ჩვენმა დიდმა წინაპრებმა საფუძველი ჩაუყარეს.

მოგეხსენებათ, უნივერსიტეტის დაარსებლებს თავიანთი მიზნის განხორციელებისას ბევრი წინააღმდეგობა შეხვდათ. თითოეული მათგანი მეცნიერების გარკვეულ დარგს იკვლევდა და ანვითარებდა, მათი ცხოვრების მიზანი ეს იყო, თუმცა, ამაზე ხმამაღლა არასდროს ლაპარაკობდნენ. საზეიმო სიტყვები, რომელიც დღეს „სუფრის პატრიოტიზმს“ ახლავს, მათთვის სრულიად უცხო იყო. არსებობს აკაკი შანიძის ერთი წერილი ივანე ჯავახიშვილისადმი, სადაც მოთხრობილია, თუ როგორ წავიდა რამდენიმე მეცნიერი 1923 წელს რუსეთში მუზეუმებიდან ქართული სიძველეების ჩამოსატანად. მათ უმძიმეს პირობებში უხდებოდათ მუშაობა. ერთ პატარა ოთახში, თურმე, კორნელი კეკელიძისთვის საწოლი აღარ დარჩა, ამიტომ მას ჩამოხსნილ კარზე მოუწია ღამის გათენებამ. მე დიდი იმედი მაქვს, რომ მიუხედავად ყველა სირთულისა, რომელიც დღეს ჩვენს ცხოვრებას ახლავს, ჩვენი მეცნიერება ქვეყნის და ერის საკეთილდღეოდ განვითარდება. ამ გზაზე არასდროს დაგვავიწყდება მეცნიერებების დამფუძნებელთა სახელები“, — ასე გაიხსენა მეცნიერი მზექალა შანიძემ.

გამოფენის მნიშვნელობასა და შინაარსზე თსუ-ის მუზეუმის უფროსმა სპეციალისტმა ალექსანდრე მარუაშვილმა ისაუბრა: „გამოფენაზე გავაერთიანეთ საკმაოდ საინტერესო მასალა, რომელიც კორნელი კეკელიძის მოღვაწეობას ეხება. უშუალოდ საუბარია მის საქმიანობაზე კიევის სასულიერო აკადემიაში, რომლის კურსდამთავრებულიც გახლდათ. პედაგოგები იმედოვნებდნენ, რომ მისი ნიჭი, მონაცემები და სამეცნიერო მუშაობა საკმაოდ სერიოზული შენაძენი იყო თეოლოგიითა და ეკლესიის სიძველეების კვლევა-ძიებით დაინტერესებული საზოგადოებისათვის. ამიტომაც მას საკურსო ნაშრომი სადოქტორო დისერტაციად დაუმტკიცეს, რომელიც წარმატებით დაიცვა კიევში და რის საფუძველზეც მას ღვთისმეტყველების მაგისტრის წოდება მიენიჭა.

კორნელი კეკელიძემ დააარსა ძველი ქართული ლიტერატურის კათედრა და ის სამეცნიერო ლიტერატურით უზრუნველყო, რომელიც კათოლიკოს პატრიარქის ლეონიდეს ლოცვა-კურთხევით საისტორიო მუზეუმად ჩამოყალიბდა უნივერსიტეტში და მის ხელმძღვანელად კორნელი კეკელიძე დაინიშნა. მოგვიანებით კოლექცია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს გადაეცა, რომლის დამფუძნებელიც ასევე კორნელი კეკელიძე იყო. დღეისათვის ქართული ხელნაწერების უზარმაზარი მემკვიდრეობა, პირადი არქივი და ბევრი მნიშვნელოვანი მასალა სწორედ იქ არის დაცული. გამოფენაზე წარმოდგენილია ფოტო-დოკუმენტური მასალა, რომელიც ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება. განსაკუთრებით აღსანიშნავია საპატრიარქოს არქივში დაცული დოკუმენტი — ეკლესიის დამოუკიდებლობის აქტი. ხელმომწერთა შორის არის კორნელი კეკელიძე, რომელმაც ავტოკეფალიის მიღებაში დიდი წვლილი შეიტანა“, — აღნიშნა სანდრო მარუაშვილმა.

ბიოგრაფიული შტრიხები

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი, ფილოლოგი, ლიტერატურათმცოდნე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თანადამფუძნებელი და აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე 30 აპრილს, 1879 წელს სოფელ ტობანიერში დაიბადა.

კორნელი კეკელიძე სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1904 წელს დაამთავრა კიევის სასულიერო აკადემია, 1905-1906 წლებში პედაგოგად მუშაობდა ქუთაისსა და თბილისში. მონაწილეობდა საეკლესიო მუზეუმის კომიტეტის, ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუშაობაში. 1916 წელს დაინიშნა თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორად. 1918 წლიდან გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრას. 1919-1925 წლებში იყო სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანი, ხოლო 1926-1930 წლებში — სასწავლო-სამეცნიერო ნაწილის პრორექტორი. 1921-1930 წლებში ხელმძღვანელობდა თსუ-თან არსებულ სიძველეთსაცავს, 1933-1936 წლებში — ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრას. 1942-1949 წლებში იგი განაგებდა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტს.

კორნელი კეკელიძის პირველი სამეცნიერო ნაშრომი — „ახალი საგალობლები აბო თბილელისა“ 1905 წელს ჟურნალ „მწყემსში“ დაიბეჭდა. 1907 წელს გადამუშავებული საკანდიდატო ნაშრომისათვის „ლიტურგიკული ქართული ძეგლები სამამულო წიგნსაცავებში და მათი მეცნიერული მნიშვნელობა“ (რუსულ ენაზე, ცალკე წიგნად გამოიცა. თბილისში, 1908 წელს) მიენიჭა მაგისტრის სამეცნიერო ხარისხი.

1905-1912 წლებში თანამშრომლობდა კიევის სასულიერო აკადემიასთან, 1912-1917 წლებში მუშაობდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ორგანოში - „ქრისტიანული აღმოსავლეთი“.

სამეცნიერო ასპარეზზე გამოსვლისთანავე კორნელი კეკელიძეს მძიმე შავი სამუშაოს შესრულება მოუხდა არქივებსა და სიძველეთსაცავებში, კერძო მეპატრონეთა კოლექციებში. მან დიდი ამაგი დასდო ქართული ხელნაწერების გამოვლენის, შეგროვებისა და აღწერილობის საქმეს. ძველი ქართული ლიტერატურის მემკვიდრეობის დიდი ნაწილი ჯერ სრულიად ხელუხლებელი იყო. კეკელიძის ადრინდელმა სამეცნიერო ნაშრომებმა — „იერუსალიმის განჩინება VII საუკუნისა“ (რუსულ ენაზე, 1912 წ., მ.ნ. ახმატოვის სახელობის პრემია) და „ძველი ქართული არქიერატიკონი“, (რუსულ ენაზე, 1912 წ.) ბევრ რუს და უცხოელ მეცნიერს აღუძრა ინტერესი ქართული მწიგნობრობისადმი.

კორნელი კეკელიძემ მეცნიერულად აღწერა გელათში (1905 წელს) და სვანეთში (1911 წელს) დაცული ქართული ხელნაწერები.

1948-1954 წლებში გამოქვეყნდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერების აღწერილობათა რამდენიმე ტომი კორნელი კეკელიძის საერთო რედაქციით. 1918 და 1946 წლებში გამოსცა ქართული ჰაგიოგრაფიული თხზულებების კიმენურ რედაქციათა ორტომეული, 1930 წელს ნ. ციციშვილის „შვიდი მთიები“, 1935 წელს - იოანე საბანისძის „აბო თბილელის წამება“ და ბასილი ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“, 1936 და 1948 წლებში - იოანე ბატონიშვილის „კალმასობის“ ორტომეული (თანარედაქტორი ა. ბარამიძე), 1938 წელს - „ვისრამიანი“ (თანარედაქტორები ა. ბარამიძე და პ. ინგოროყვა) და სხვა.

კორნელი კეკელიძის სახელს უკავშირდება ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის ფუნდამენტური ორტომეულის შექმნა (1923-1960 გამოიცა ოთხჯერ). ორტომეულის საფუძველზე კეკელიძემ შექმნა „ძველი ქართული ლიტერატურის კონსპექტური კურსი“ (რუსულ ენაზე, 1938 წ.). 1955 რომში გერმანულ ენაზე გამოქვეყნდა მ. თარხნიშვილისა და ი. ასფალგის მიერ გადამუშავებული კეკელიძის ორტომეულის I ტომი.

კორნელი კეკელიძე იკვლევდა ქართულ-ბიზანტიურ, ქართულ-სპარსულ ლიტერატურის ურთიერთობებს, ძველი ქართული ლიტერატურისა და ხალხური სიტყვიერების ურთიერთმიმართების საკითხებს. მეცნიერმა დიდი ამაგი დასდო ქართულ ისტორიოგრაფიასაც, აქვს საგანგებო გამოკვლევები ძველი ქართული დამწერლობის, ქართული წელთაღრიცხვისა და კალენდრის, ძველი ქართული სტამბისა და ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიის, ძველ ქართულ ლიტერატურაში მთარგმნელობითი მეთოდისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.

მეცნიერი 1962 წლის 7 ივნისს გარდაიცვალა, იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პანთეონში დაკრძალეს.

მხატვრის „ნავსაყუდელი“ უნივერსიტეტია

შურთხია ბეროშვილი

თამარ ხარაბაძე

თითოეულ ნახატს თავის ისტორია აქვს... მხატვარი თავის ცხოვრებას მის მიერ „სულჩაბერილი“ ნამუშევრებით გვიყვება... თემატიკა მრავალფეროვანია, ამიტომ განწყობის შესაფერისად იცვლება ჟანრი და სტილი, პეიზაჟი, პორტრეტი, ნატურმორტი... საერთო კი მაინც განწყობაა, რომელიც დაზგური ფერწერის და გრაფიკით შესრულებულ ნამუშევრებში იგრძნობა...

7 მაისს თსუ-ის მუზეუმის საგამოფენო სივრცე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვიზუალური ხელოვნების სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუტის პედაგოგის თამარ ხარაბაძის ნამუშევრებს დაეთმო. ფოიეში მისი 50-მდე ნახატი გამოიფინა. როგორც გამოფენის გახსნისას მხატვარმა აღნიშნა, მიუხედავად იმისა, რომ მრავალი წელია აქტიურად მონაწილეობს საქართველოსა თუ საზღვარგარეთ მოწყობილ გამოფენებში და მისი ნამუშევრები კატალოგებშია შეტანილი და, ასევე, დაცულია საქართველოს, თურქეთის, საფრანგეთის, იტალიის, ჰოლანდიის, ვიეტნამის, პოლონეთის, უნგრეთის, ჩეხეთის კერძო კოლექციებში, საუნივერსიტეტო სივრცეში პერსონალური გამოფენის მოწყობა მისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

„ჩემი საუკეთესო წლები უნივერსიტეტს უკავშირდება. თავდაპირველად უცხო ენების ფაკულტეტზე ვსწავლობდი, შემდეგ ფერწერის ფაკულტეტიც დავამთავრე. ჩემთვის დიდი ბედნიერება და პატივი იყო, რომ საუკეთესო ქართველი მხატვრები იყვნენ ჩემი პედაგოგები, მათ შორის: ეკატერინე ბაღდავაძე, ანდრო თოიძე, გიორგი როინიშვილი, მამია ახობაძე, ჯიბსონ ხუნდაძე და სხვები. მათგან ძალიან ბევრი ვისწავლე, ამიტომ თითოეული მათგანი დიდი მადლიერებით მინდა გავიხსენო“, — ამბობს მხატვარი.

თამარ ხარაბაძე უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, მამია ახობაძის შეთავაზებით, კათედრაზე დარჩა. თავდაპირველად პრაქტიკულის ხელმძღვანელი იყო, შემდეგ მასწავლებელი, უფროსი მასწავლებელი, დოცენტი... სამ ათეულ წელზე მეტია უნივერსიტეტში პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა და ახლა იგი ასწავლის სტუდენტებს იმას, რაც დიდმა პედაგოგებმა და, რაც მთავარია, ცხოვრებისეულმა გაკვეთილებმა ასწავლეს... ის დაუზარებლად უხსნის ახალგაზრდებს არა მხოლოდ იმას, თუ როგორ უნდა აიგოს კომპოზიცია და რა არის მთავარი წარმატების მისაღწევად, არამედ იმასაც, რომ ხელოვნების სამსახურში სიყვარულით ბოლომდე უნდა დაიხარჯო...

„დღევანდელ გამოფენაზე წარმოდგენილი ნახატები სხვადასხვა ეტაპზეა დახატული, ბევრი ნამუშევარი გაიყიდა, ზოგიერთი გავაჩუქე, რამდენიმე სამწუხაროდ დაიკარგა. ძირითადად, ჯგუფურ, ადგილობრივ და საერთაშორისო გამოფენებში ვმონაწილეობ, დღემდე აქტიურად ვარ ჩართული შემოქმედებით საქმიანობაში. სიამოვნებით ვმართავ გამოფენებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, საიდანაც ემოციებით დამუხტული ვბრუნდები. ჩემში ემოციას ხანდახან სულ უმნიშვნელო დეტალი იწვევს — ეს შეიძლება იყოს ყვავილი, პეპელა, ძველი მაქმანი, რომელიმე სოფლის ან ქალაქის პატარა მყუდრო ქუჩა... დღესაც აქტიურად ვაგრძელებ ხატვას და სამომავლოდ კვლავ ვგეგმავ სხვადასხვა გამოფენებში მონაწილეობის მიღებას“, — ამბობს თამარ ხარაბაძე.

მხატვარი თვლის, რომ მისი, როგორც შემოქმედის, ფანტაზიის განვითარებაზე გავლენა იქონიეს ქართველმა და უცხოელმა მხატვრებმა: განსაკუთრებით უყვარს რემბრანტი, ლეონარდო და ვინჩი, დავით კაკაბაძე, ფიროსმანი და სხვა კლასიკოსები.

თამარ ხარაბაძე, ძირითადად, დაზგურ ფერწერაში, ასევე, გრაფიკაში და ლითოგრაფიაში მუშაობს. თემატიკა მრავალფეროვანია: „მოგზაური“, „უნგრეთი, ქალაქი პეჩი“, „თუთიყუში“, „ნატურმორტი სერიიდან: ყვავილები და მაქმანები“, „თბილისის შემოგარენი“, „მამადავითი“, „შემოდგომა მთაში“, „ზამთარი იმერეთში“, „ბებუაწვერები“, „ხევსურეთი“ და სხვა. როგორც გამოფენის გახსნაზე ხელოვნებათმცოდნე ვლადიმერ ასათიანმა აღნიშნა, „თამარ ხარაბაძის გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრები დიდი სიყვარულით და სითბოთი გადმოსცემს ემოციას. მის ქალაქურ პეიზაჟებში კარგად ჩანს, როგორ ახერხებს იგი მრავალპლანიანი კომპოზიციების აგებას, რაც ურთულესი ამოცანაა მხატვრისთვის. თამარ ხარაბაძე არის ინტელექტუალური მხატვარი და ვუსურვებ მას — ამ რთული გზიდან არ გადაუხვიოს“, — აღნიშნა ვლადიმერ ასათიანმა.

თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვიზუალური ხელოვნების სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელმა ლევან სილაგაძემ მხატვარს გამოფენის გახსნა მიულოცა და მის მოღვაწეობაზე ისაუბრა: „თამარ ხარაბაძის ხელოვნების მოყვარულებმა იციან, რამდენად მრავალფეროვანი და საინტერესოა მისი შემოქმედება, ეს არის ქართული ხასიათის ფერწერული სტილით შესრულებული ნამუშევრები. ამავე დროს, აღსანიშნავია მისი მრავალწლიანი, ნაყოფიერი პედაგოგიური საქმიანობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც მან არაერთი თაობა აღზარდა. სწორედ მისი დიდი დამსახურებაც არის, რომ დღეს ბევრი მათგანი წარმატებული მხატვარია. დარწმუნებული ვარ, მისი შემოქმედება კიდევ ბევრჯერ მოგვანიჭებს სიამოვნებას“, — განაცხადა ლევან სილაგაძემ.

თამარ ხარაბაძის ბოლო ნამუშევარი — „ბროწეულები“ და „ნავსაყუდელია“. ცხოვრებისეული ისტორიები კვლავ ნახატებში გრძელდება...

Campus online
უნივერსიტეტი

მთავარი რედაქტორი
ნინო კაკულია
მთავარი სპეციალისტი
მაია ტორაძე
ტექნიკური რედაქტორი
მანანა ჯურხაძე

ჟურნალისტები:
ნატო ობოლაძე
თამარ დადიანი
შურთხია ბეროშვილი

ფოტოკორესპონდენტი
ანა ბოლქვაძე
კომპ. უზრუნველყოფა
ზაზა გულაშვილი

რედკოლეგიის წევრები:
იაგო კაჭკაჭიშვილი,
მანანა შამილიშვილი,
თინათინ მარგალიტაძე,
თინათინ ბოლქვაძე,
ეთერ ხარაიშვილი,
რევაზ გველესიანი,
ირაკლი იმედაძე,
გიორგი ჯაიანი,
თემურ ნადარეიშვილი,
მორის შალიკაშვილი,
მაია ივანიძე,
ვლადიმერ მარგველაშვილი,
გიორგი ლობჟანიძე,
ნატა ასათიანი

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ. 13
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
2 22 36 62

ვებგვერდი:
newspaper.tsu.edu.ge
ელ.ფოსტა:
tsunewspaper@tsu.ge

2017 წლის 1 ოქტომბრიდან გადაცემა „უნი-ვერსია“ გადის რეგიონულ ტელევიზიებში, რასაც საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაცია უზრუნველყოფს (თსუ-სა და საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციასთან გაფორმებული მემორანდუმის თანახმად).